# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 მარტი, 2011 წელი.

№47 (6659)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## ბედი ქართლისა და... კავკასიისა

5–11

**მოსკოვის ხელშეკრულება: 90 წლის წინათ, 16 მარტს ხელმოწერილი რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიების ბედი საბოლოოდ გადაწყდა!**

- ოსმალეთის კავკასიური ინტერესები
- „ახალი თურქეთი": მტერია თუ მოყვარე?
- თურქების პრეტენზიები: ბათუმი და ართვინ-არტაანი თურქეთის ტერიტორიაა!



როცა ქალა ალმართს ხნავს!



6

## ინტერვიუ-პორტრეტი ჭაბუა ამირეჯიბისა

დაუმორჩილებელი ქართული სული

ნუ შეშინდებით! ნუ შეშინდებით! ნუ შეშინდებით! ნუ შეშინდებით!



## მთვარე დედამიწას ოთხ დღეში დაუახლოვდება

3

რა მოხდება საქართველოში?



არ შეიძლება მეცნიერული პროგნოზის გარეშე მსგავსი რამის თქმა

## შიმშილობა „იმედში"

2

## რეჟიმი ციხის ფეხებზე დგას

4

რა მიზანი აქვს 18 მარტის აქციას?

## რითი სჯობს „ვარდების რევოლუციის" შემდგომი პერიოდის ქართველი ახალგაზრდა თავის ფრანგ თანატოლებს

2





„მთლიანი საქართველო"

პოლიტიკური პატიმარი, სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ ბახანია 2 წელიწადია უკანონო პატიმრობაში იმყოფება და ხელისუფლება მასზე ზეწოლას განაგრძობს!

◎ თვალში — ნაცარი?!

# ყველაფრის ამხსნელი ორი მიზეზი,

## ანუ რითი სჯობს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის ქართველი ახალგაზრდა თავის ფრანგ თანატოლებს



**ერთი მშვენიერი ქართული კინოკომედიის წყალობით ყველამ კარგად ვიცით, რატომ იყო ოქტომბრის რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი. აი ის კი, თუ რითი სჯობს ვარდების „რევოლუციის შემდგომი“ პერიოდის ქართველი ახალგაზრდა თავის ფრანგ თანატოლებს, არა მგონია, ჩვენი მოსახლეობის უმეტესობამ იცოდეს! პირადად მეც ეს მხოლოდ გუშინ გავიგე, როდესაც დილის სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემაში ამერიკის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის ამსახველ კადრებს შევავლე თვალი.**

— ამ ბოლო წლებში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოში უფრო მეტნი ბრუნდებიან, ვიდრე ჩვენგან მიდიან! — მიახარა მათ პრეზიდენტმა.

და ამას, ამ გულგასახარ საოცარ ფაქტს ორი მიზეზი აქვსო, — დააკონკრეტა შემდეგ — პირველი ის გახლავთ, რომ **ჩვენგან უკვე ახალგაზრდები არ მიდიან, რადგან ჩვენთან მათ, სათანადო ცოდნა-განათლების მიღების შემდეგ, ყველა გზა ხსნილი აქვთო, მეორე კი ის არის, რომ უცხოეთში მუშაობის გამოცდილებამიღებულ კაცს ჩვენთან ცხოვრება-საქმიანობა არ გაუჭირდება, ვინაიდან, მსოფლიო ბანკის გამოკითხვით, საქართველოში ბიზნესის კეთება ყველაზე იოლიაო** (ჩვენ კიდევ, ჩამორჩენილებსა და უბირებს, აქამდე გვეგონა, რომ ბიზნესის წამოწყების, ანუ კომერციული ფირმის რეგისტრაციის სიიოლეზე იყო ლაპარაკი მსოფლიო ბანკის გამოკითხვაში და არა ბიზნესის კეთების სიადვილეზე).



**აი, ის ორი მიზეზი, რამაც ყველაფერს ნათელი მოჰფინა და ყოველივე ახსნა!**

ზოგიერთმა ჩვენმა ურწმუნო თომამ კი, რომელთაც გუშინვე ველაპარაკე ამ გულგასახარ ფაქტზე, მაშინვე დაატრიალა ძველი „არღანი“ — **პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შეგვაყარა თვალში ნაცარი და ამერიკაში მცხოვრები ქართველებიც მისთვის ჩვეული მიუნჰაუზენობით მოაღორაო!**

**რატომ, ჩემო კარგებო და კეთილებო, ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, როდის ერთხელ მოუტყუებია ვინმე მიხეილ სააკაშვილს?!**

თქვენ, მის მოძულეთ, კაცმა რომ გკითხოთ, ისიც არ გჯერათ, რომ თუნდაც **ჩვენი აეროპორტი მიუნჰენისას სჯობს, განმუხურის პატრიოტთა ბანაკი კი — არტეკს, როგორც ეს ბატონმა მიხეილმა ბრძანა.**

ამიტომ თქვენთან კამათს არ ვაპირებ და იმასლა გეტყვით, ჩემი აზრით, (ეს დასკვნა, როგორც ვთქვი, პრეზიდენტის მოსმენის შემდეგ გავაკეთე), რითი სჯობს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის ქართველი ახალგაზრდა თავის ფრანგ თანატოლებს.

**ეს, სხვათა შორის, იმასაც ნათლად ამტკიცებს, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც რაოდენ მართალია თავის გამონათქვამებსა და დასკვნებში ბატონი მიხეილი!**

ყველას გეხსომებათ, რა არეულობა, მიტინგები, პოლიციასთან შეტაკება და სისხლისღვრაც მოჰყვა შარშან საფრანგეთში სარკოზის ხელისუფლების სურვილს, ევროკავშირის რეკომენდაციის შესაბამისად, ორი წლით გაეზარდა საპენსიო ასაკი.

და ამ მღელვარების ავანგარდში სწორედ უპერსპექტივობის შეგრძნებით შეძრულ-შეშინებული იქაური ახალგაზრდები იდგნენ: **თუ უფროსი თაობის წარმომადგენლებს ადრინდელთან შედარებით ორი წლით მეტს ამუშავებენ, ჩვენ ხომ გაგვიჭირდება სამუშაოს შოვნაო!**

ხედავთ, უკაცრავი პასუხია და, როგორ ლამის ცხოველურ პრაგმატიზმამდე მივიდა საქმე იმ „განვითარებულ“ საფრანგეთში?

**არც ახლა დაიჯერებთ, რაოდენ სწორი იყო მიხეილ სააკაშვილი, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიით თქვა, ჩვენ ევროპაში ყველაზე მაგარი და კარგი მთავრობა გვყავსო?**

სწორედ ამ უკანასკნელის და, ზოგადად, ხელისუფლების დამსახურებაა, რომ **ჩვენს ახალგაზრდებს, თავიანთი ფრანგი** (იგულისხმეთ დასავლეთ ევროპის ნებისმიერი სხვა ქვეყნის ახალგაზრდებიც!) **თანატოლებისგან განსხვავებით, გზა ყოველმხრივ ხსნილი აქვთ, პერსპექტივა კი — ასევე ყოველმხრივ შეუზღუდავი,** როგორც ეს პრეზიდენტმა ამერიკაში გუშინ თქვა.

რაც შეეხება ბიზნესის კეთების სიიოლეს, ამაზე ადვილი და სარფიანი ხომ ჩვენთან არაფერია!

**თქვენ კიდევ — თვალში ნაცარიო!**

**ნუ დაუჯერებთ მათ და ამის გამო გულს ნუ გაიტეხთ, ბატონო მიხეილ! კვლავაც თქვენი გზით იარეთ და მარადჟამს თქვენეული სიმართლეუტყუარობით გაგიმარჯოთ!**

რუსლან რუსია

◎ მწარე რეალობა

# უიმედობა „იმედში“

## ანუ ვისი დახმარება-წყალობით საით და როგორ მივყავართ „რეფორმატორებს?“

**10.00 — სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“, 11:30 — სერიალი „ბოშები“, 12:35 — სერიალი „ლობას საიდუმლო“, 16:00 — სერიალი „მონტეს ოჯახი“, 17:40 — სერიალი „სიყვარულის ზღვა“, 18:40 — სერიალი „ლობას საიდუმლო“ (ეს რატომღაც პრივილეგირებული სერიალია — იმეორებენ), 21:00 — სერიალი „ქალბატონი“.**

თუ ყველაფერ ამ უბედურებას „ქრონიკას“, თბილისი Live“-ს, „ნანუკას შოუს“, „სპეციალურ რეპორტაჟს“ და კიდევ რამდენიმე სისულელეს დავუმატებთ, შემდეგ კი „მარილად“ სარეკლამო ჩართვებს მოვაყრით, მივიღებთ ისეთ აჯაფსანდალს, რომელსაც რატომღაც „იმედი“ ჰქვია.

როგორია?

ხომ არის „შიშხათიანი“?

„გურმანებისთვის“ კი გთავაზობთ ამ აჯაფსანდალის ერთ-ერთი ინგრედიენტის, „ქრონიკის“ შემადგენელ „პრიპასებს“.

1. რადიაციის საფრთხე იაპონიაში.

2. ინციდენტი გურიაში (მკვლელობა და თვითმკვლელობა).

3. ნაყოფის მოშორების მცდელობა (ღუდუშაურის კლინიკაში ჩვილი გარდაცვლილი დაიბადა).

4. გვამი მეტრო რუსთაველთან (33 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს).

5. ოპერატორის მკვლელობა ლიბიაში (კადაფის მომხრეებმა AL Jazeera-ს ოპერატორი მოკლეს).

6. ლიბია: სამოქალაქო ომი (კადაფი პოზიციებს იმყარებს).

7. ამერიკული ფლოტი ლიბიის საზღვრებთან (სამხედრო ესკადრონს ატომური წყალქვეშა ნავი შეუერთდა).

8. გამოსვლა იემენში (ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრეთა აქცია).

9. საპროტესტო აქციები პორტუგალიაში (გამოსვლები სამუშაო ადგილების გაზრდის მოთხოვნით).

აქცია ვისკონსის შტატში (პროტესტი პროფკავშირების შესახებ ახალი კანონპროექტის მიღებას მოჰყვა).

არ იფიქროთ, რომ ეს ათეული მთელი კვირის განმავლობაში გასული გადაცემებიდან ამოვკრიბე.

როგორ გეკადრებათ. მეტი საქმე არა მაქვს.

ეს მხოლოდ 13 მარტს, 17-საათიანი „ქრონიკის“ პირველ თხუთმეტ წუთში გადმოცემული ინფორმაციის ტიტრებია, რომელთა სრულ ტექსტში უხვადაა ნახსენები სისხლი, მკვლელობა, ხანძარი, დაპირისპირება და სხვა მრავალი მსგავსი სიტყვა.

ახლა არ მითხრათ, რომ 13 მარტი იყო და ამიტომ არის ასეთი გადატვირთული ცუდი ამბებით.

კარგით რა! 12 მარტს ხომ „გვასიამოვნეს“ თავიანთი „სპეციალური რეპორტაჟით“.

არადა, სიმართლე რომ ვთქვა, როგორც იტყვიან, სულ ცალ ფეხზე მკიდია ვისკონსის შტატში პროფკავშირების შესახებ რა კანონს მიიღებენ და არც ის მაწუხებს, გაზრდიან, თუ შეამცირებენ პორტუგალიაში სამუშაო ადგილებს.

ნამდვილად არ მაინტერესებს, რადგანაც მე უწინარესად „ჩემი მკვდარი მყავს დასატირებელი“.

ჩემი უმუშევრები, ჩემი პროფკავშირები და ჩემი განათლების სისტემა.

ის პედაგოგები და მშობლები, რომლებიც გაიზიარებენ გამომცემლობა „დიოგენესა“ და გოეთეს ინსტიტუტის რეკომენდაციებს და თავიანთ ბავშვებს გამოთქმით წაუკითხავენ „ნაწარმოებს“ იმის შესახებ, თუ „ვინ უქნა თხუნელას თავზე“ (იმაზეც დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ ქართველი ბავშვების ევროპასთან ინტეგრაციის ამ მედროშეებს, რომ საკლასო ოთახში ნაწარმოების სიუჟეტის პრაქტიკულ ჩვენებას არ მოითხოვენ).

ახლა რაც შეეხება ამავე გადაცემაში გასულ მეორე სიუჟეტს, რომელიც ქართველი ახალგაზრდების „გაუნათლებლობას“ და საქართველოში წიგნიერების დაბალ დონეს შეეხებოდა.

უწინარესად საინტერესოა თავად იმ დასავლელი მკვლევარების განათლებისა და წიგნიერების დონე.

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

# ზურაბ აბაშიძე: ეკლესია პოლიტიკურ დიალოგზე პირდაპირ ზეგავლენას ვერ მოახდენს



**რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ აბაშიძე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა. მან რუსულ გამოცემა „კომერსანტს“ ვრცელი ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის ეკლესიებს შორის ურთიერთობები განიხილეს.**

**— ჩვენმა დელეგაციამ ორი სახელმწიფოს მეთაურებისადმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართვა ჩამოიტანა. მიმართვაში ძირითადად საუბარია კავკასიაში შექმნილ რთულ ვითარებაზე: ჩრდილოეთ კავკასია, მთიანი ყარაბაღი და რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიიული მთლიანობის პრობლემების გადაწყვეტა. ამ სიტუაციას მოლაპარაკებების არ არსებობა კიდევ უფრო ამძიმებს. ამიტომაც, ჩვენი პატრიარქი ორივე მხარეს მოუწოდებს ერთმანეთში საუბარი პირადი კონტაქტებით დაიწყონ, — აღნიშნა აბაშიძემ.**

**ჟურნალისტის შეკითხვაზე, შეუძლია თუ არა ეკლესიას პოლიტიკურ დიალოგზე გავლენის მოხდენა, ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ეკლესია პოლიტიკურ დიალოგზე პირდაპირ ზეგავლენას ვერ მოახდენს, ეს მის ფუნქციებში არც შედის. თუმცა, ეკლესიას ძალუძს, დიდი როლი შეასრულოს საერთო ფონის გაუმჯობესებასა და ჩიხიდან გამოსავლის მოძებნაში.**

**— პატრიარქი საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული და პატივსაცემი პერსონაა. მის მიმართვას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც მიესალმა. ცხადია, მე არ ვფიქრობ, რომ ქართველებმა უკვე დავივიწყეთ და ვაპატიეთ რუსებს ყველაფერი, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა კარგად აცნობიერებს ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის რაღაც ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.**

**რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი უახლოეს მომავალში არც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილის შეხვედრას გამორიცხავს.**

მედიანიუსი

◎ რა დღეშიც ვართ

# ტყეებს რომ წავავენ, ნეტავ ჯიგარი არ ეწვით?

**ცნობილია, რომ ყველა კარგი სიახლე – დიდი ხნის დავიწყებული ძველია. ეს გამოთქმა იმიტომ გამახსენდა, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად ოდესღაც ბუნდოვან ეჭვებს, ფაქტების ზემოქმედებით, სავსებით დასაბუთებული რწმენა ცვლის. ახლანდელმა ახლადგამოჩეკილმა ქვეყნის გამგებლებმა რაც სიტყვათა კორიანტელი უნდა დააყენონ, ათასწლეულების მანძილზე ქვეყნის დაგროვილი სიმდიდრის ერთიანად გასხვისებას სულ რამდენიმე, ოღონდ უმძლავრესი მიზეზი აქვს. მათ შორის პირველია ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, რის „ჩაგდებას“ არც წინა ხელისუფლება პატიობდა არავის, არც ახლანდელი უსვამს თავზე ხელს ვინმეს, მეორე კი ამასობაში საკუთარი, ანდა კლანური ინტერესების აუცილებელი გათვალისწინებაა, რაც მრავალი ხერხით ხორციელდება.**

**სხვა პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოს შესახებ დანამდვილებით რაიმეს თქმა გამიჭირდება, მაგრამ მაინც არ მგონია, რომ სადმე ასე ხელაღებით იყიდებოდეს ყველაფერი, რაც რაიმე ფასეულობას წარმოადგენს, როგორც ეს საქართველოში ხდება. კანონმდებლობას სხვადასხვა რანგის ჩინოსნები, რომელთაგან უამრავი „ბელლის ვირთაგვასავით“ უნამუსოდ გვიცქერის თვალებში, თან ტყუილებით გვბერავს. როცა კანონის დარღვევას აშკარად ვერ ბედავენ, ისეთ ხრიკებს მიმართავენ, რომელთა გამოყენებისას კანონმდებლობა, ფორმალურად არ ირღვევა, მაგრამ ყველაფერი თეთრი ძაფითაა ნაკერი და დემაგოგიური განცხადებებით ხალხს თვალში ნაცარს აყრიან. მარტო თბილისის სამარშრუტო ტაქსების ირგვლივ ბოლო დროს გათამაშებული ფარსი რად ღირს, როცა ტენდერში „გამარჯვებული“ კომპანიების საწესდებო კაპიტალი, რომლებმაც უმოკლეს ვადაში საქმეში მილიონობით ლარი უნდა დააბანდონ, 100-100 ლარს შეადგენს, ყველა მათგანი ერთსა და იმავე კანტორაში ერთ დღეს და 5-10 წუთის სხვაობითაა რეგისტრირებული. აი, უმაღლესი პილოტაჟის ცინიზმი...**

**თუმცა წერილის თემას რამდენადმე ავცდი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი, რადგან ამ ჯერზე სამარშრუტო ტაქსებზე კი არა, ქვეყნის ტყეებზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა.**

ნუ იფიქრებთ, პატივცემულო მკითხველო, რომ სათქმელს შორიდან დავიწყებ, თუკი შარშანდელი ნოემბრის ამბები გამახსენდა, როცა ცეცხლში გახვეული ტყეების ბოლი ერთიანად ლამის მთელ საქართველოს იყო მოდებული. ვინც შემოდგომის ტყეში ერთხელ მაინც ყოფილა კენკრის ან სოკოს საკრეფად, ანდა, სულაც, სათევზაოდ ან სანადიროდ, ნამდვილად იცის, რომ წლის ამ დროს, მით უმეტეს ნამიან ნოემბერში, ტყეში ცეცხლის თავისით გაჩენის ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. მეტიც, თუ კაცმა ხერხი არ იცის, ძალიანაც რომ უნდოდეს, კოცონის დანთება გაუჭირდება. ჰოდა, ასე „თავისით“ ერთიანად როგორ აალდა შარშან ნოემბერში ტყეები **შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, მთიულეთში...** ხალხი, რომელიც, მოგეხსენებათ, არასდროს ცდება, სამართლიანად ეჭვობს, რომ ტყეებს, რომელსაც ახლო მომავალში ერთიანად გაყიდვას უპირებენ, ხანძარი განგებ გაუჩინეს, რათა შემდგომ დამწვარიც და გადარჩენილი ხე-ბუჩქნარი აჩეხონ, მიწას კი უფრო იაფად და უპრობლემოდ დაეპატრონონ ადგილობრივი თუ უცხოელი სქელქისიანი ძიები.

ადრე ყოფილი ე.წ. „საკოლმეურნეო ტყეები“ არ იყიდებოდა, რადგან ამას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, ვინაიდან ისინი ხელოვნურად იყო გაშენებული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ახალი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად კი მათი გასხვისება ნებადართული იქნება და, შესაბამისად, ისინი კერძო საკუთრებაში გადავა, ოღონდ იმ პირობით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ტყეში შესვლას, კენკრისა და სოკოს კრეფას ახალი მეპატრონეები არ დაუშლიან, თანაც ტყის განახლების ვალდებულებაც ექნებათ ნაკისრი.

ამასთან, გარემოს დაცვის ექსპერტები სავსებით არგუმენტირებულ ეჭვს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ საქართველოს მხარეებში ტყეები ადგილობრივი „ბიძიების“ მერკანტილური ინტერესების მსხვერპლი ხდება: მათ უკანონოდ ჩეხავენ, შემდგომ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ცეცხლს უკიდებენ.

მთავრობის დადგენილებით, კახეთის გუბერნატორის მოთხოვნის საფუძველზე, სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული 2 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი მიწის ფართობი ტყის ფონდის საკუთრება აღარ არის, მათ შორის, **ყვარლის სატყეოს ჩამოართვეს 396 411 კვადრატული მეტრი ტყის კორომი, საბუეს სატყეოს – მილიონ 639 288 ათასი კვადრატული მეტრი, შილდის სატყეოს მიმდებარე ყოფილი კოლმეურნეობის ტყეებიდან – 8740 კვადრატული მეტრი. იმერეთის გუბერნატორის ანალოგიური მოთხოვნით ამ მხარეში ტყის ფონდს მთლიანად 626 588 კვადრატული მეტრი ფართი ჩამოაჭრეს.**

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოს ტყეთა მასივების ნახევარი წიფლნარებია, ხოლო ექსპორტზე გასატანი მერქნის 90 პროცენტს სწორედ წიფელი წარმოადგენს. ამასთან, წიფლის მოსაჭრელი ასაკი 120-150 წელია (!!).

ყველაზე დიდ გაოცებას მაინც ის იწვევს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ტერიტორიიდან დაუმუშავებელი მერქნის გატანა ძალიან შეზღუდულია, ნებადართულია მხოლოდ მზა ნაწარმის გატანა, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, ხისგან დამზადებულ რაიმე განსაკუთრებულ ნაწარმს, თანაც დიდი მასშტაბით, საქართველოში არც ერთი წარმოება არ უშვებს, ამდენად, ნუთუ მარტო შეშად ხმაროზენ ამოდენა ტყის მასივებს?

**აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ტყის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვარზეა მისული, ხოლო ამ ზღვარს ქვემოთ ტყის კორომს, მთლიან ტყის მასივთა ნახევარზე მეტი (დაახლოებით 55 პროცენტი) უკავია!**

ტყის გაღაწვით და გაჩეხვით ნიადაგის ეროზიის ტემპი რამდენიმე ათეულჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ჩნდება ხევები, მეწყერები, შრება წყაროები, ისპობა ფაუნა, მიწები სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსაყვანადაც უვარგისი ხდება, ხოლო ყველაფერ ამის აღდგენას ლამის ნახევარი საუკუნე მაინც სჭირდება. მთელი ამ უბედურების მომსწრენი ყველანი ვართ, მაგრამ ჩვენივე უსუსურობით საქმეს ვერაფრით ვშველით...

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია თემაში

***ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს დაახლოებით 430 ჰექტარი ტყის მასივი დაიწვა სხვადასხვა მხარეში, მარტო 2010 წლის ნოემბერში ცეცხლს 300 ჰექტარი შეეწირა.***

*ბოლო დროს, მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე, სატყეო ფონდიდან მიწის ფართობების ამორიცხვა ხდება, რის შემდეგ ამ ტერიტორიებს ასხვისებენ. კერძოდ, ამ თემაზე ბოლო ორი დადგენილებით, ეკონომიკის განვითარების მიზეზით (?!) დაახლოებით 270 ჰექტარი ტყის მასივი უნდა გაიჩეხოს, რაც ეკოლოგიური კატასტროფის მასშტაბს კიდევ უფრო მეტად გაზრდის.*

◎ ნუ შეშინდებით!

# არ შეიძლება მეცნიერული პროგნოზის გარეშე მსგავსი რამის თქმა



**აკადემიკოსი, ასტროფიზიკოსი ჯუმბერ ლომინაძე 19 მარტს მოსალოდნელი გლობალური კატასტროფის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას „ცრუ მეცნიერებად“ აფასებს და აცხადებს, რომ ამ დღეს არაფერი არ მოხდება.**

**„მიმაჩნია, რომ ეს აურზაური უსაფუძვლოდ ატყდა. არ შეიძლება მეცნიერული პროგნოზის გარეშე მსგავსი რამის თქმა. თუ ასეთი გლობალური კატასტროფაა მოსალოდნელი, რატომ ამერიკელები არაფერს ამბობენ?“,** – განუცხადა ლომინაძემ „ჯი-ეიჩ-ენს“.

მისივე განმარტებით, მთვარის დაახლოება დედამიწასთან, ანუ აპოგეა ყოველ 27 დღეში ხდება და ამ დროს მათ შორის მანძილი 35 ათას კილომეტრამდე მცირდება.

ამასთან, ჯუმბერ ლომინაძის თქმით, ცრუ მეცნიერებას საზოგადოებამ **„განვითარების საშუალება არ უნდა მისცეს“.**

**„ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ უნდა დაუჯერებელი დაიჯეროს. ღმერთმა დაგვიფაროს გლობალური კატასტროფისგან. არაფერიც არ მოხდება“,** – დასძინა ლომინაძემ.

შეგახსენებთ, რომ რიგი ასტროლოგის აზრით, 19 მარტს დედამიწის ერთადერთი თანამგზავრი დედამიწის ზედაპირს მაქსიმალურად მიუახლოვდება, რის გამოც უამრავი სტიქიური უბედურება და ბუნებრივი კატასტროფაა მოსალოდნელი. მათი აზრით, ამ დღეს მთვარესა და დედამიწას შორის სიშორე უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში მაქსიმალურად მცირე იქნება და დაახლოებით 356 ათას კილომეტრს მიაღწევს..

აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის მტკიცებით, იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის გამო ღერძიდან დედამიწის 15 სმ-ით გადახრა უმნიშვნელოა და ის გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს არ გამოიწვევს.

**„დედამიწის ეკვატორი 40 ათასი კილომეტრია და 15 სმ-ით მისი ღერძიდან გადახრა, უმნიშვნელოა. დედამიწა დაახლოებით ამდენივე სანტიმეტრით ჩილეში მომხდარი მიწისძვრის შედეგადაც გადაიხარა. მართალია, ბუნებამ ძალიან შემოგვიტია და საკმაოდ დააზარალა დედამიწა, მაგრამ გლობალური კლიმატური ცვლილებების საფრთხე ამ ეტაპზე არ არსებობს“,** – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ლომინაძე.

შეგახსენებთ, რომ იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ დედამიწის ღერძი თითქმის 15 სმ-ით გადააადგილა. ექსპერტების მტკიცებით, **„მოცემული მოვლენის გავლენა ღერძზე უფრო მეტად არსებითი აღმოჩნდა, ვიდრე 2004 წლის სუმატრაზე მომხდარი მიწისძვრისა. მაშინ მიწისძვრამ დედამიწის ღერძის 6 სმ-ით გადაადგილება გამოიწვია“.**

იტალიელი სეისმოლოგები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი სტიქიური უბედურება, თავისი გავლენით, მხოლოდ 1960 წელს ჩილეში მომხდარ უდიდეს მიწისძვრას ჩამოუვარდება, რომლის მაგნიტუდა, სხვადასხვა შეფასებებით, 9.3-9,5 იყო.

◎ იაპონიის მიწისძვრა

# მთვარე დედამიწას ოთხ დღეში დაუახლოვდება

## რა მოხდება საქართველოში?

**ზუსტად 19 მარტს მთვარესა და დედამიწას შორის მანძილი, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, მაქსიმალურად მცირე იქნება და 356 ათას კილომეტრს მიაღწევს. იაპონიის კატაკლიზმმა, შარშანდელი ჩილეს მიწისძვრის მსგავსად, დედამიწის ღერძი შეცვალა. მაშინ დედამიწის ღერძი 8 სანტიმეტრით შეიცვალა და დღე-ღამე 1.26 მიკრო წამით შემცირდა.**



დედამიწის ღერძიდან გადახრამ, შესაძლოა, გლობალური დათბობის პროცესების გააქტიურებას შეუწყოს ხელი. ღერძიდან დედამიწის გადახრა დედამიწის არსებობის ისტორიაში ადრეც არაერთხელ მომხდარა. ბოლო ასეთი ფაქტი დაახლოებით მილიონნახევარი წლის წინათ აღინიშნა, რასაც დედამიწისა და ოკეანეების ზედაპირის თითქმის 80 პროცენტის მყინვარით დაფარვა მოჰყვა. უდიდესი გამყინვარების ძირითად მიზეზად მეცნიერები სწორედ ღერძიდან დედამიწის გადახრას ასახელებენ. ამბობენ, რომ დედამიწის მორიგმა გადახრამ ამჯერად, შესაძლოა, გლობალური დათბობის პროცესების განვითარებას შეუწყოს ხელი და მას არა გამყინვარება, არამედ, პირიქით – მყინვარების დნობის გააქტიურება და მსოფლიო ოკეანის დონის მატება მოჰყვეს.

მეცნიერების ვარაუდით, იაპონიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრა საქართველოში მიწისქვეშა ბიძგების პროვოცირებას არ გამოიწვევს, მაგრამ სამომავლოდ ძლიერი მიწისძვრების განმეორება არც საქართველოშია გამორიცხული. დედამიწის ქერქის აქტივობის შედეგად, კოლხეთის დაბლობი ყოველწლიურად 5-7 მილიმეტრით იძირება, კავკასიონის მთების აზიდვის მაჩვენებელი კი 15-20-დან 40-50 მილიმეტრამდე გაიზარდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, რომ ადამიანისთვის აუცილებელია მატერიალური კეთილდღეობა, თუმცა ამაშიც ზომიერებაა აუცილებელი. **„პრობლემების წინაშეა დღეს მთელი მსოფლიო, ნახეთ, რა ხდება იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. შევთხოვთ უფალს, რომ სიმშვიდე, კეთილდღეობა და მთლიანობა მოგვცეს,“** – ბრძანა პატრიარქმა.

მართლაც, სიმშვიდესა და მოყვასის სიყვარულზე უმთავრესი ამქვეყნად არაფერია. უფლის განსაცდელი იაპონიაში მომხდარი უბედურების სახით ამაზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

### დახმარება იაპონიას

**იაპონიის ბანკს, ქვეყნის ფინანსურ ბაზრებზე საბანკო სისტემის სტაბილიზაციისთვის 15 ტრილიონი იენი (183 მლრდ. ამერიკული დოლარი) გამოეყო. მომდევნო ორი დღის განმავლობაში ბანკს კიდევ 6 ტრილიონი იენი გამოეყოფა.**

**11 მარტს მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ, ტოკიოს ნიკეის 225 ინდექსმა 7 %-იანი ვარდნა განიცადა. როგორც ექსპერტებმა განაცხადეს, ეს კატასტროფული მაჩვენებელია.**

**სიტუაციის განმუხტვისთვის ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას იწყებს.**

**—ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის ნორმალიზებისთვის და სტაბილიზაციისთვის ჩვენ ყველა ზომას მივმართავთ, — განაცხადა იაპონიის ბანკის წარმომადგენელმა.**

**სტიქიების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ასანაზღაურებლად იაპონიაში, სავარაუდოდ, გადასახადები გაძვირდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ „მეც პატიმარი ვარ“

# რეჟიმი ციხის ფეხებზე დგას

## რა მიზანი აქვს 18 მარტის აქციას?

**ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დამცველებმა პატიმართა წამების ოთხი ფაქტი გამოავლინეს. თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საპატიმროებში ადამიანთა გარდაცვალებაც, რომლებიც ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით ბუნებრივი სიკვდილით კვდებიან, რეალურად კი თითქმის ყველა პატიმარს აღენიშნება წამების ნიშნები.**

**18 მარტს, ადამიანის უფლებათა დამცველები კინოსახლთან გრანდიოზულ აქციას გეგმავენ: „მეც პატიმარი ვარ“ და სახელმწიფოსთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციების გასაგონად, ხელმოწერებით დაადასტურებენ მოთხოვნას: შეწყდეს პატიმართა არაადამიანური მოპყრობა და წამება.**

გუშინ მედია-კავშირ „ობიექტივისა“ და „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ ინიციატივით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ **ზაზა ხატიაშვილმა** სპეციალური ბრიფინგი გამართა. „ყოველდღიურად მოდის საზარელი ამბები საპატიმროებიდან. აბსოლუტური უმრავლესობა სასჯელს იხდის გამოგონილი ბრალდებების გამო. მაგალითად, ადამიანი მკვლელობისთვის გაასამართლეს. ამ დროს „მოკლული“ სასამართლო პროცესს ესწრებოდა. მოსამართლემ ჰკითხა: ცოცხალი



ხარ თუ მკვდარიო!? ასეთ აბსურდულ ვითარებაში მიდის სასამართლო პროცესები“, – აღნიშნა მან.

ადვოკატის თქმით, გუშინ დილით დაუკავშირდა პოლიტპატიმარი მარიანა იველაშვილი. მას ღამის 4 საათზე სამედიცინო დახმარება მოუთხოვია. ამის გამო ჩაკეტეს და 24 საათი საჭმელი არ მიაწოდეს. „დემოკრატიის შუქურამ“ ახალი საპატიმრო გახსნა და „ფოტომოდელი“ ხათუნა კალმახელიძე დატოვა მინისტრად. მე-5 საპყრობილეში ქალები სასწრაფოდ გადმოიყვანეს, მაგრამ რადგან რემონტი ბოლომდე დამთავრებული არ იყო, ისინი ცივ ბეტონზე იწვნენ. ამის გამო სახალხო დამცველს მივმართეთ, რომელმაც იმ დღესვე ჩაატარა მონიტორინგი და ეს ფაქტი დაადასტურა. ქალებს ყოფილი მატროსოვის ციხე ენატრებათ, იმდენად საშინელ პირობებში იმყოფებიან ამ ვითომც ევროსტანდარტების შესაბამის საპატიმროში“.

ზაზა ხატიაშვილმა მოუწოდა ყველას: ადამიანის უფლებათა დამცველებს, პატიმართა ახლობლებს, ჟურნალისტებს, თუნდაც ათი წუთით მოვიდნენ აქციაზე და საკუთარი პროტესტი დააფიქსირონ. **„უკანონობის წინააღმდეგ ავიმაღლოთ ხმა. საპატიმროში ყველა ადამიანს აქვს ღირსეულად ყოფნის უფლება. ხელყოფილია პატიმართა უფლებები და ხელისუფლება არავითარ რეაგირებას არ ახდენს. პირიქით, ვისაც სტრასბურგში აქვს გასაჩივრებული, საშინლად უსწორდებიან, პერმანენტულად აწამებენ. ჩვენ, ადვოკატებმა მოვითხოვეთ ევროპაში სააკაშვილ-მერაბიშვილისა და ადეიშვილის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადება. პირადად წავიღე ეს მოთხოვნა. ჟურნალისტებსაც შეგეძლოთ იგივე, როცა „იბერია“, „იმედი“, გამომცემლობა „სამშობლო“ დაარბიეს. უნდა შევიდეს ათობით ასეთი საჩივარი, სხვანაირად არავინ დაგვეხმარება“.**

ადვოკატი **ლალი აფციაურიც** ადასტურებს, რომ ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთი და იგივე სიტუაციაა. სასტიკად ეპყრობიან პატიმრებს, ფიზიკურად უსწორდებიან და ხშირად უწევთ ადვოკატებს პაემნები თავგატეხილ, დალურჯებულ, დასისხლიანებულ პირებთან. „2 დღის წინათ გარდაიცვალა პატიმარი მურზაშვილი, რომელიც ნაწამებია. რამდენიმე დღეა, რაც კიდევ ორი პატიმარი გაასვენეს: გორდელაძე და ქლენტი. ყველა პატიმარი აცხადებს, რომ შემოვარდებიან და უმოწყალოდ გვირტყამენო. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში არიან ქალები. ახალ საპატიმროში ჰაერზე გასეირნება ენატრებათ. შეუზღუდეს შვილებთან ურთიერთობა, რადგან პაემანზე გამჭირვალე მინებიდან, ტელეფონით ესაუბრებიან, შეხების უფლება არა აქვთ. დედობა აგვიკრძალესო, ჩივიან ქალბატონები“, – დასძინა მან.

სახალხო წარმომადგენლობის მოძრაობის ხელმძღვანელი **სოსო მანჯავიძეც** მოუწოდებს საზოგადოებას, 18 მარტს მივიდნენ აქციაზე: „ყველას გვყავს ახლობელი პატიმარი. კვირა არ გავა, რომ 1-2 ადამიანი არ გამოასვენონ ციხიდან. შეკრულები არიან ექიმებთან, რომლებიც გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივ სიკვდილს ასახელებენ. მაგალითად ტუბერკულოზს. არადა თუნდაც ტუბერკულოზი იმის დასტურია, რომ საპატიმროებში არასრულფასოვანი კვებაა, გარემო არაჯანსაღი, ჰიგიენა დაცული არაა. ეს არის ერის გენოციდი, ნელ-ნელა სიკვდილი... უნდა გავაცნობიეროთ, რომ რეჟიმი ციხის ფეხებზე დგას. საკმარისია ერთი დიდი მასობრივი აქცია და ის დაინგრევა. ძალიან გთხოვთ, გააქტიურდით, გადავზარდოთ აქცია რეჟიმის ცვლილების მშვიდობიან ფორმაში “...

**მედიაკავშირმა „ობიექტივმა“ ბეჭდურ მედიას და დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს სთხოვა, დაეხმარონ 18 მარტის აქციის გაშუქებასა და საინფორმაციო უზრუნველყოფაში. იქამდე კი ყოველდღიურად გამოუყონ მოკლე საეთერო დრო აქციის საინიციატივო ჯგუფის წევრებს: ჯემალ სეფიაშვილს, დიმიტრი ჯაიანს, ადა მარშანიას, გიორგი კორკოტაშვილს... რათა საზოგადოებას განუმარტონ, რას ისახავს მიზნად 18 მარტის აქცია.**

თეა მოსია

◉ მწარე რეალობა

(მეორე გვერდიდან)

საინტერესოა შეფასების კრიტერიუმები, რადგან თუ ისინი საქართველოს წიგნიერებას იმით აფასებენ, თუ რამდენ კაცს აქვს წაკითხული „თავზე დაჯ. . ლი“ თხუნელას გულისამაჩუყებელი ისტორია, მაშინ ის „სავალალო შედეგი“ ნამდვილად მისასალმებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფეისბუკზე საკმაოდ სერიოზული განცხადებები გაკეთდა.

საკმაოდ არაერთგვაროვანი და შემაშფოთებელი გამოთქმები იყო. ფაქტობრივად, ყველა მომხმარებელი განიცდიდა იმ ე.წ. კვლევის შედეგებს, რომლებიც ტელეიმედმა „შემოგვთავაზა“. იყო ბევრი საინტერესო კომენტარიც.

შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს:

– „თქვენ დაკარგული თაობა ხართ“ – გერტრუდ სტაინი. „თქვენ ახალი თაობა ხართ“ – იაპონელი ტექნოლოგები. „თქვენ დებილი თაობა ხართ“ – ტელეკომპანია „იმედი“.

– ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტოოო ( ვაი!ძ...

– აქ უბედურება ის კი არ არის, რომ ვინმემ პეტრე მელიქიშვილი არ იცის (და უმრავლესობამ წესით არც უნდა იცოდესძ, უბედურება აზროვნების სიმწირე („საქართველო ვიეტნამის ომი“ძ, გამოთაყვანებული თვალები და ელემენტარული ინფორმაციის არქონაა („საქართველოს პრემიერ-მინისტრი“ძ.

– თქვენი აზრით, რამდენი რესპონდენტი შეეცდებოდა სახლში მისვლის შემდეგ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხების მოძებნას? გამოკითხულთაგან რამდენი ნახავდა ამ გადაცემას?

– უკვე ყველამ იცის, რომ: პეტრე მელიქიშვილი უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო, ილია მართალი იყო ილია ჭავჭავაძე, სამკუთხედს აქვს სამი გვერდი. „გაუმარჯოს იმედს“.

და კიდევ მრავალი სხვა. ცხადია ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო ერთი გამოხმაურება, რომლის სრულ ტექსტსაც გთავაზობთ.

**გაუნათლებელი სტუდენტის მიმართვა „ყველაზე რეიტინგულ“ ტელევიზიას.**

**მედიაკრიტიკას ვაწვებოდი ცოტა ხნის წინ, მაგრამ ეს უკვე მართლა მეტისმეტი იყო. როდემდე ვითმინოთ?!**

**ნებისმიერმა, თუნდაც დამწყებმა ჟურნალისტმა იცის, რომ ბალანსი მათ საქმეში უმთავრესია, შესაბამისად არ უნდა გააკეთო ისეთი რეპორტაჟი, რომელიც საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს გვთავაზობს. „ყველაზე რეიტინგული ტელეკომპანიის“ (რომლის სახელს შეგნებულად ვუვლი გვერდს, რადგან არ მინდა ეს სიტყვა ჩემს ცნობიერებაში ძალიან უარყოფითთან ასოცირდებოდეს) თანამშრომლებს კი, როგორც ჩანს, ჟურნალისტიკის შესავლის ეს ლექცია გაცდენილი აქვთ.. ან საერთოდაც ლექციის დროს მაღალფარდოვნებაზე, პეტრე მელიქიშვილის დიდ წვლილზე და „ვეფხისტყაოსანზე“ საუბრობდნენ.. (სხვათა შორის, ნაწარმოებზე, რომელსაც სტუდენტთა უმრავლესობა სკოლაში გამოვლილი ტანჯვის შემდეგ ვერ იტანს..)**

**სად იყო სწორი პასუხები თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე, პატივცემულო უიმედოდ თავში ავარდნილო ჟურნალისტებო? თქვენ მე მომატყუეთ და ჩემთან ერთად მოატყუეთ თქვენი ყველა მაყურებელი. კი ბატონო, გამოკითხულთა, უფრო სწორად, ნაჩვენებთა უწიგნურობა მართლა საგანგაშო იყო, მაგრამ, იქნებ მითხრათ, ვისი სიტყვებია: „ნამუსიც კარგი საქონელიაო“).**

**მგონი, ჯობია საკუთარ პროფესიულ განათლებას მიხედოთ მანამ, სანამ საზოგადოების განათლებაზე იზრუნებთ.. აი, ბატონო:**

**1. თქვენ არ იცით, როგორ გადაიღოთ კარგი სიუჟეტი;**

**2. თქვენ არ იცით, რომ ყველა რეპორტაჟი დაბალანსებული უნდა იყოს (ან თუ იცით, ასე უბრალოდ არ იქცევით);**

**3. თქვენ არ იცით, რაზე გაამახვილოთ ყურადღება საინფორმაციო გამოშვების დასაწყისში;**

**4. თქვენ არ იცით, როგორ მიაწეროთ სახელი და გვარი რესპონდენტს, რომელიც მოცემულ მომენტში მსხვილი პლანით ჩანს.. ანდა კარგი, ეგ იცით, უბრალოდ ხშირად გავიწყდებათ, ჰკითხოთ რესპონდენტს სახელი და გვარი).**

**შეგნებულად აღარ ვაყენებ საკითხს, თუ რამდენად კარგად იციან სიუჟეტის მკეთებლებმა ქართული ჟურნალისტიკის ისტორია..**

# უიმედობა „იმედში“



**ვეჭვობ, შედეგები არცთუ სახარბიელო იქნება.**

**და, სხვათა შორის, სწორედ თქვენ, პატივცემულო უიმედოდ თავში ავარდნილო ჟურნალისტებო, თქვენ ეწევით იმ ადამიანების პროპაგანდას, რომელთა სახელგვარებიც უკვე თითოეულ ქართველს აქვს გამჯდარი ტვინში. იქნებ ისიც გვითხრათ, არაფრის ცოდნას ის ჯობია, ბიჭოლა იცოდე ვინ არისო..**

**ჯერ თქვენი საქმე აკეთეთ ისე, როგორც საჭიროა.. მანამდე კი ერთი თხოვნა მაქვს: დაგვანებეთ თავი რა!!!**

**არცთუ პატივისცემით,**
**რევაზ ბარამიძე.**
**13.11.2011**

**ძალიან საინტერესო შენიშვნებია ამ მასალაში. ძალიან საინტერესო და დამაფიქრებელი, მაგრამ განსაკუთრებით საჭირბოროტოა შენიშვნა, რომელიც ე.წ. „ცნობად სახეებს“ შეეხება.**

**„თქვენ ეწევით იმ ადამიანების პროპაგანდას, რომელთა სახელგვარებიც უკვე თითოეულ ქართველს აქვს გამჯდარი ტვინში. იქნებ ისიც გვითხრათ, არაფრის ცოდნას ის ჯობია, ბიჭოლა იცოდე ვინ არისო..“**

**იქნებ ქართული ტელეკომპანიების მიერ წარმოებული პროპაგანდისტული სისტემის ბრალია ის შედეგები, რომლებიც ამ რამდენიმე თვის წინათ საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ეკა ხოფერიას გადაცემაში, ხოლო 12 მარტს ტელეიმედის ეთერში დაფიქსირდა?**

**იმ პროპაგანდისტული სისტემის, რომლის „წყალობითაც“ პეტრე მელიქიშვილის სახელი ბოლო ხუთ წელიწადში არც ერთხელ არ იქნებოდა ნახსენები, ხოლო ბიჭოლა დღეში რამდენჯერმე „გვატკბობს“ ხან თავისი სიმღერით და ხან თავისი „ფეშენ მიღწევებით“?**

**იქნებ იმ „რეფორმირებული განათლების სისტემის“ ბრალია, რომლის არაეფექტიანობაზე, თვით საქართველოს პრეზიდენტმაც გააკეთა მეტად მწვავე შეფასება?**

**იქნებ იმ გამომცემლობების და უცხოელი ექსპერტ–რეკომენდატორების „დამსახურებაა“, რომლებსაც ზემოთ ნახსენები თხუნელას ამბავი უფრო ინტელექტუალურად მიაჩნიათ, ვიდრე პუშკინის „რუსლანი და ლუდმილა“ (ალბათ მიხვდით, თუ რატომ ვახსენე პუშკინის ეს ნაწარმოები და არა რომელიმე ქართული ზღაპარი).**

**იქნებ ეს ყველაფერი იმ დასავლეთთან გრანდიოზული ინტეგრაციის პოლიტიკის ბრალია, რომლის მიხედვითაც ქართველი ხალხი „მომსახურე პერსონალად“ უნდა გადაკეთდეს და, როგორც მოგეხსენებათ, ამ შემთხვევაში სულაც არაა საჭირო არც შოთა რუსთაველის, არც წმინდა ილია მართლის და არც პეტრე მელიქიშვილის სახელების ცოდნა?**

**არ არის საჭირო, რადგანაც მომსახურე ერს თავიანთი ბატონი ერების წინაშე უპირატესობის გრძნობა არ უნდა ჰქონდეს.**

**იქნებ იმის ბრალია, რომ ვიღაცას უნდა ჩვენი ახალგაზრდების დისკრედიტაცია? მათში ნიჰილიზმისა და უიმედობის ჩანერგვა? ძალიან მაინტერესებს, თუ როგორ პასუხს გასცემდნენ ამ ტელეკომპანიის ხელმძღვანელები, გადაცემის ავტორები და ჟურნალისტები მოულოდნელად დასმულ კითხვას: „ჯოზეფ კენედი ის პრეზიდენტი არაა, რომ მოკლეს?“ ან „მთვარის მოტაცება ზვიად გამსახურდიამ დაწერა ხომ?“**

**ამ მდარე „ტექნოლოგიებით“ იმის მტკიცება, რომ საქართველო უწიგნურთა ქვეყანაა და მას გაუნათლებელი ახალგაზრდობა ჰყავს, ის ბუმერანგია, რომელიც ერთ-ერთი იტალიური კომედიის „სენიორ რობინზონის“ გმირმა ისროლა.**

**სროლით კი ისროლა, მაგრამ . . .**

**ეს წერილი კი მინდა დავამთავრო ნაწყვეტით ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მზიანი ღამე“:**

**— ახალგაზრდობა ჩვენი იმედია, იაროს ახალგაზრდობამ ვიწრო შარვლებში და მოკლე კაბებში, ოღონდ იკითხოს წიგნი და უყვარდეს ერი, ქვეყანა, სამშობლო . . . და ის, თუ ვიღაცამ კაცი მოკლა და ვიღაცამ მაღაზია გაქურდა, არ არის ეროვნული ტრაგედია. ეროვნული ტრაგედია ის არის, რომ ამის მეტი ვერაფერი დაინახო!**

**დიახ, ახალგაზრდობაა ჩვენი იმედი და არა ის „იმედი“, რომელიც ცუდის მეტს ვერაფერს ხედავს და ცუდის მეტს არაფერს არ უკეთებს პროპაგანდას.**

გია გაბრიჭიძე

*1921 წლის 16 მარტი. მოსკოვი. „კუზნეცკი მოსტზე" მდებარე რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში ერთობ მნიშვნელოვანი დიპლომატიური მოვლენა ხდება: დასასრულს უახლოვდება რუსეთ-თურქეთის კონფერენცია, რომელიც ჯერ კიდევ 26 თებერვალს დაიწყო, სულ მალე კი მოლაპარაკების ფინალი შედგება – ხელი მოეწერება მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას...*

*აი, სხდომათა ოთახში შემოდიან თურქეთის დელეგაციის წევრები, რომელსაც დიდი ეროვნული კრების მთავრობის ეკონომიკის მინისტრი იუსუფ ქემალ ტენგირშენკი ხელმძღვანელობს; აქვეა თურქეთის ელჩი, გენერალი ალი ფუად ჯებესოი და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რიზა ნური-ბეი...*

*რუსეთის დელეგაციის მეთაური გიორგი ჩიჩერინი თურქ საპატიო სტუმრებს მაგიდასთან იწვევს, რომელზეც ხელშეკრულების უკვე პარაფირებული ტექსტი დევს. ოფიციალური რიტუალისა და საზეიმო მისალმების შემდეგ დგება მნიშვნელოვანი მომენტი: დოკუმენტს ხელს ჯერ გიორგი ჩიჩერინი და სრულიად რუსეთის ცაკ-ის წარმომადგენელი ჯელალ კორკმასოვი აწერენ, შემდეგ კი იუსუფ ქემალი, რიზა ნური და ალი ფუადი...*

*მორჩა! ქართველთა დაუკითხავად, თბილისიდან შორს, მოსკოვში დადებული „რუსეთ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებით" გადაწყდა საქართველოს, მასთან ერთად კი სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიებისა და საზღვრების ბედი....*

# როცა ძალა აღმართს ხნავს!

**მოსკოვის ხელშეკრულება: 90 წლის წინათ, 16 მარტს ხელმოწერილი რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიების ბედი საბოლოოდ გადაწყდა!**



მოსკოვში, 1921 წლის 16 მარტს რუსეთ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს: რუსეთმა საქართველოს ტერიტორიები უკვე თურქეთს გადასცა.

## ოსმალეთის კავკასიური ინტერესები

კავკასია მუდმივად იყო ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ინტერესების სფეროში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ამასიის 1555 წლის შეთანხმებით ოსმალეთმა და სპარსეთმა რეგიონი შუაზე გაიყვეს. მე-18 საუკუნეში კავკასიის სამხედრო „თეატრში" რუსეთი გამოჩნდა, რომელმაც თურქეთთან წარმოებული რამდენიმე ომის შედეგად, ყველაზე მეტად კი 1828-29 და 1877-78 წლებში, სულთნები – მაჰმუდ მეორე და აბდულჰამიდ მეორე დაამარცხა და კონტრიბუციის სახით მნიშვნელოვანი ტერიტორიები მიიღო: აჭარა (ბათუმის ოლქი), ართვინი, არტაანი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეები), აგრეთვე ყარსი, სარიყამიში და ყაგიზმანი.

რასაკვირველია, ქართული საზოგადოება მხურვალედ მიესალმა რუსეთის იმპერიის ჯარების გამარჯვებას ოსმალეთზე. მართლაცდა, იმის მიუხედავად, რომ ტერიტორიები რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ამ ფაქტს ქართველი ერისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა – ამიერიდან ყოველ ქართველს თავისუფლად შეეძლო საუკუნეების წინათ მტრის მიერ მიტაცებული და აწ უკვე დაბრუნებული მშობლიური მხარის მონახულება და იქ არსებული უძველესი კულტურის ძეგლების დათვალიერება, იქაური ქართველების გაცნობა და თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მათი ინტეგრირების ხელშეწყობა მთლიან ქართულ ორგანიზმთან, ქართულ კულტურასთან. ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა 1880-იან წლებშივე დაიწყეს ტაო-კლარჯეთში არსებული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესწავლა, ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1900-იანი წლების დასაწყისში, როცა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა სპეციალურ ექსპედიციას უხელმძღვანელა, თითქმის ყველა უძველესი ქართული ეკლესია-მონასტერი აღწერა და ფოტოსურათები გადაუღო.

ბუნებრივია, ოსმალეთის სულთანი არასოდეს ივიწყებდა ჩრდილოელი მეზობლის მიერ წართმეულ ტერიტორიებს და როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, კავკასიაშიც გაჩაღდა საომარი მოქმედებები – სამხედრო ბლოკ „ოთხთა კავშირის" წევრმა თურქეთმა, გერმანიასთან შეთანხმებით, გემებიდან დაბომბა რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქები. სულთან მეჰმედ მეხუთე იმედოვნებდა, რომ ომში ჩაბმით „უკანონოდ მიტაცებულ" მიწებს დაიბრუნებდა და „ანტანტის" ბლოკის წევრ რუსეთს სამაგიეროს გადაუხდიდა.

კავკასიის სამხედრო „თეატრში" სამხედრო მოქმედებები გარდამავალი უპირატესობით ვითარდებოდა, თუმცა საბოლოო ჯამში მაინც რუსეთმა იმძლავრა – დაიკავა შავიზღვისპირა მნიშვნელოვანი ნავსადგური ტრაპიზონი... 1916 წლისათვის რუსული ჩექმის ქვეშ მოექცა ვანი, ბითლისი, ერზინჯანი და ანატოლიის სიღრმეში მდებარე ქალაქი ერზერუმიც კი...

რომ არა 1917 წლის გადატრიალება პეტროგრადში, ალბათ, კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა, დღევანდელთან შედარებით, სულ სხვაგვარი იქნებოდა, მაგრამ ფაქტია: ბოლშევიკთა მოწოდებით კავკასიის ფრონტზე ჯარისკაცთა სამხედრო დისციპლინა მოიშალა და საბოლოო ჯამში შექმნილი მდგომარეობით თურქებმა ისარგებლეს, შეტევაზე გადმოვიდნენ, კვლავ დაიკავეს ყარსი, ბათუმი, ართვინი და არტაანი...

## „ახალი თურქეთი": მტერია თუ მოყვარე?

1917-18 წლები კავკასიისათვის ძალზე მძიმე პერიოდი იყო – პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი... მისი თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური კრახი... თუმცა, იმავდროულად მიმდინარეობდა ეროვნული თვითშეგნების ზრდა, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, რაც საბოლოოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა. სამწუხაროდ, პირველმა ქართულმა რესპუბლიკამ უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო - ოსმალეთმა ბათუმში 4 ივნისს დადებული და ჩვენთვის იძულებით თავსმოხვეული კაბალური შეთანხმებით (ბრესტის ზავის პირობების თანახმად) დაკავებული ტერიტორიების მიერთება იურიდიულად გაიფორმა.

თუმცაღა, როგორც ამბობენ ხოლმე, ბედმა საბოლოოდ არ გაგვწირა: პირველ მსოფლიო ომში „ოთხთა კავშირი" „ანტანტამ" დაამარცხა და თურქები კავკასიიდან გავიდნენ. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევამ და ევროპის გარკვეულმა ხელშეწყობამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო: აღსრულდა მრავალი თაობის ოცნება – 1919-20 წლებში აჭარა და ტაო-კლარჯეთი საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციაში დაბრუნდა. შეიძლება ითქვას: 1920 წლის ზაფხულისათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი ისეთი საკმაოდ დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, რომ გამოიკვეთა „დიდი საქართველოს" აღდგენის კონტურებიც...

რა ხდება ამ დროს ყოფილ ოსმალეთის იმპერიაში? გამარჯვებული ანტანტის მიერ ჯერ სან-რემოს კონფერენციის (1920 წლის 19-26 აპრილი), შემდეგ სევრში 10 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების შედეგად დამარცხებული ოსმალეთი გამარჯვებულებმა – საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ გავლენის სფეროებად გადაინაწილეს, გარკვეული ტერიტორიები კი საბერძნეთის ჯარებმაც დაიკავეს. თურქებში უკმაყოფილება მატულობდა, რაც საბოლოოდ დამოუკიდებლობის დამცავ წინააღმდეგობის მოძრაობად ჩამოყალიბდა. მოძრაობას სათავეში გენერალი მუსტაფა ქემალი ჩაუდგა.

ყველა ხალხს თავისი ბელადები, გმირები და გამორჩეული პიროვნებები ჰყავს, რომლებიც კრიტიკულ პერიოდში საკუთარ სამშობლოს უმნიშვნელოვანეს, ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ ხოლმე. თუმცა აქვე უნდა ისიც ვთქვათ: ისტორიაში ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი ხალხის ბელადი მეორე ხალხისათვის მტრად თუ არა, არაკეთილმოსურნედ მაინც იქცევა ხოლმე.

ასე მოხდა მუსტაფა ქემალის შემთხვევაშიც.

გენერალმა მიზნად დაისახა ოსმალეთის (თურქეთის) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ქალაქ სივასში და ერზერუმში ჩატარებულ ეროვნული მოძრაობის კონგრესებზე გამოცხადდა, რომ აღმოსავლეთი ვილაიეთები თურქეთის უცილობელი ტერიტორიაა და ისინი ადრე თუ გვიან „დედა-სამშობლოს" უნდა დაუბრუნდნენ. დავაზუსტებთ: აღმოსავლეთ ვილაიეთებში ბათუმი, ართვინი, არტაანი და ყარსი იგულისხმებოდა. ქემალისტების ზეწოლით კონსტანტინეპოლში ფორმალურად არსებულმა ოსმალეთის პარლამენტმაც იგივე დადგენილება მიიღო, რომელიც ისტორიაში „ეროვნული აღთქმის" სახელითაა ცნობილი, თავისი არსით დღემდე არ დაუკარგავს იურიდიული მნიშვნელობა და თურქები ამ დოკუმენტით ძალიან ამაყობენ. 1920 წლის მარტში მუსტაფა ქემალმა ქალაქ ანგორაში (ანკარაში) თურქეთის პარლამენტი ჩამოაყალიბა და მთავრობა შექმნა.

სწორედ „ეროვნული აღთქმის" საფუძველზე განუცხადა ანგორის მთავრობამ პროტესტი საქართველოს მთავრობას 1920 წლის ივლისში, როცა დიდმა ბრიტანეთმა აჭარა (ბათუმი და ართვინი) გადმოგვცა. თურქები მიიჩნევდნენ, რომ აჭარა საქართველომ უკანონოდ მიითვისა, რადგან ეს ტერიტორია ოსმალეთის კუთვნილება იყო. იმ ხანებში ქემალისტების პროტესტისათვის ნოე ჟორდანიას მთავრობას მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია: ანკარა თბილისიდან ძალზე შორს იყო და ანატოლიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები საქართველოში საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყურებოდა.

სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა 1920 წლის შემოდგომაზე: მომძლავრებულმა ქემალისტებმა დაშნაკურ სომხეთს ჯერ ყარსი წაართვეს, შემდეგ კი ალექსანდროპოლიც (ყოფილი ლენინაკანი, დღევანდელი გიუმრი). საქართველო უკვე რეალური საფრთხის წინაშე დადგა: ქემალისტებმა მზერა ართვინ-არტაანსაც მიაპყრეს...

პირველი დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და „ახალ თურქეთს" შორის 1920 წლის სექტემბერს დამყარდა: თბილისში, ართვინისა და ახალციხის გავლით, ქემალისტთა დიპლომატიური წარმომადგენელი ქიაზიმ-ბეი ჩამოვიდა, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება მეგობრული ურთიერთობების განვითარებაში დაარწმუნა. თუმცა იმავე ხანებშივე აქტიურდება თურქეთ-საბჭოთა რუსეთის კონტაქტებიც: რადგან ანგორაც და მოსკოვიც დასავლეთს მტრად მიიჩნევდნენ, შესაბამისად, მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა - ვლადიმერ ლენინმა და მუსტაფა ქემალმა საერთო ენა გამონახეს. რუსეთმა ქემალისტებისადმი მასირებული დახმარების პროცესი დაიწყო – შავი ზღვით ანგორის მთავრობას მიეწოდებოდა ოქრო, იარაღი, სხვა სამხედრო ამუნიცია...

აქვე შევნიშნავთ, რომ ქემალისტთა ხელისუფლებაში ერთმანეთს ორი პოლიტიკური დაჯგუფება ებრძოდა: პროდასავლური, რომლის ლიდერი საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი (წარმოშობით კავკასიელი) იყო და პრორუსული - იუნუს ქემალის ლიდერობით. კონფრონტაცია გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა - ბექირ სამი ბეი ლონდონში კავშირებს ეძებდა და თურქეთის დაშლის თავიდან აცილების იდეა დასავლეთის დახმარებით ცდილობდა (თუმცა იგი მუსტაფა ქემალის დავალებით მოსკოვშიც იმყოფებოდა ვლადიმერ ლენინთან მოსალაპარაკებლად. 1920 წლის დეკემბერში ბექირ სამი თბილისშიც ჩამოვიდა და საქართველოს როგორც ევროპული ორიენტაციის მქონე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შეხვდა). რაც შეეხება თვით მუსტაფა ქემალს, იგი ჯერ თვალს ადევნებდა ლონდონის მოლაპარაკებებს, მაგრამ როცა ევროპამ უარი თქვა სევრის კაბალური ხელშეკრულების გადასინჯვაზე, მან საბოლოოდ იმედის თვალი კრემლს მიაპყრო, მედასავლეთე ბექირ სამი ბეი მინისტრის თანამდებობიდან მოხსნა, მოსკოვში კი ახალი დელეგაცია იუნუს ქემალის ხელმძღვანელობით გაგზავნა.

საინტერესო ფაქტია, რომ რუსეთში მიმავალი იუნუს ქემალის გზამ თბილისზე გაიარა: 1921 წლის 4 თებერვალს (საქართველოზე რუსეთის თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე!) იგი ჩვენმა ხელისუფლებამ დიდი პატივით მიიღო. შეხვედრისას თურქთა დელეგაციის მეთაურმა დაადასტურა ახლო მომავალში საქართველოსთან მეგობრობის ხელშეკრულების დადების სურვილი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ამ დროისათვის თურქეთმა და საქართველომ ერთმანეთი უკვე იურიდიულად აღიარეს. ანკარაში უკვე ქართული დიპლომატიური მისია გაემგზავრა ელჩ სიმონ მდივნის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ცაზე ავის მომასწავებელი შავი ღრუბლები ნელ-ნელა იკრიბება, თუმცა გარეგნულად პოლიტიკური სიმშვიდეა...

## თურქების პრეტენზიები: ბათუმი და ართვინ-არტაანი თურქეთის ტერიტორიაა!

ქემალისტთა დელეგაცია მოსკოვში 19 თებერვალს ჩავიდა. მაღალი დონის დიპლომატიური მისიის ასეთი დაგვიანება ბაქოში თურმე მათი ვაგონის რომელიღაც მეორეხარისხოვანი ეშელონისათვის შეცდომით ჩაბმას გამოუწვევია. განაწყენებული იუნუს ქემალი ყოველი ქალაქიდან ჩიჩერინს დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა და ჩიოდა - ძალიან ვაგვიანებთ, სპეციალური ორთქლმავალი გვჭირდებაო. ასე იყო თუ ისე, თურქეთ-რუსეთის კონფერენციამ, რომლის მიზანი ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების პროექტის შემუშავება იყო, მუშაობა 26 თებერვალს დაიწყო. აქვე შევნიშნავთ, რომ დოკუმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება უნდა ყოფილიყო თურქეთის ტერიტორიისა და საზღვრების აღიარება რუსეთის მიერ.

გავიხსენოთ, რომ საქართველოში ამ დროს დრამატული მოვლენები ვითარდება: თბილისი უკვე რუსეთის ჯარებმა დაიკავეს, ქართული არმია უკან იხევს... თურქები ჯერ სიტუაციას აკვირდებიან, შემდეგ კი მოლაპარაკებისას პრიორიტეტს საკუთარ ინტერესებს ანიჭებენ: მარტის დასაწყისში ანკარიდან მიღებული დირექტივების საფუძველზე იუნუს ქემალმა რუსეთის მთავრობას ბათუმის, ართვინისა და არტაანის, აგრეთვე ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარება მოსთხოვა. ამით მან ოფიციალურად განაცხადა, რომ აღნიშნული ტერიტორიები მხოლოდ და მხოლოდ თურქეთს ეკუთვნის.

როგორც თურქული, რუსული და სომხური წყაროებიდან ირკვევა, მოლაპარაკების დროს გიორგი ჩიჩერინი ძალზე წინააღმდეგი ყოფილა იმისა, რომ თურქეთს ყარსის ოლქი გადასცემოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში „სომეხთა ლობისტად" წოდებული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მართლაცდა კბილებით იცავდა ერევნის ინტერესებს, კატეგორიულად მოითხოვდა თურქებს ალექსანდროპოლი და ყარსი სომხეთისათვის დაებრუნებინა.

იხ. 11 გვ.

ჩვენი თანამედროვე

*მწერლის ბიოგრაფია, რომელიც მოთავსებულია რომან „გორა მბორგალის“ ყდაზე, სამ აბზაცს შეიცავს:*

*„მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჭაბუა (მზეჭაბუკ) ირაკლის ძე ამირეჯიბი დაიბადა 1921 წ.. ყრმობამ და ახალგაზრდობამ ბოლშევიკური ტერორის პირობებში გაიარა, შემდგომში, 1937წ. რეპრესიებმა იმსხვერპლა მისი მშობლები და უახლოესი ნათესაობა, თავადაც იქნა რეპრესირებული და მიესაჯა 25 წლით პატიმრობა. ციხეებსა და ბანაკებში გაატარა 16 წელიწადი, სამგზის გაიქცა, 2-ჯერ ჰქონდა მისჯილი დახვრეტა...*

*სამწერლო მოღვაწეობას 1960 წ. დასაწყისში, ანუ პატიმრობიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა. იგი მოთხრობების რამდენიმე კრებულის, მრავალი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილის, რამდენიმე კინოსცენარისა და რომან „დათა თუთაშხიას“ ავტორია. ამჟამად მუშაობს გიორგი ბრწყინვალის თემაზე.*

*ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოებები თარგმნილი და გამოქვეყნებულია მსოფლიოს მრავალ ენაზე. იგი საქართველოს სახელმწიფო, სსრკ სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატია. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. იგი დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტია საერთაშორისო პენ-ცენტრის ქართული განყოფილებისა. რამდენჯერმე იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე. მისი ბიოგრაფია შეტანილია მრავალი ქვეყნის ენციკლოპედიებში და ცნობარებში“.*

*ამ ლაკონიური მშრალი ანკეტური მონახაზის მიღმა — ბობოქარი, ლამაზი, თვითმყოფადი, არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაა, რომელიც საოცარი აღმაფრენით თუ დაცემით, სიყვარულით თუ სიძულვილით, შემოქმედებითი მიღწევებით და რწმენით, დაუმორჩილებელი ქართული გენის, ქართული სულის ხორციელ სახიერებას წარმოადგენს. შესანიშნავი მწერალი-კრიტიკოსი, ბატონი რევაზ თვარაძე წერდა „გორა მბორგალის“ თავსიტყვაში: „უკანასკნელი ფრაზები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორიენტირი უნდა იყოს რომანის მართებულად გაგებისათვის: მთელი სიცოცხლის მანძილზე გაძარცული და დევნილი, მოძალადეთაგან შეჭირვებული კაცი ამბობს ამას და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმ მარადიულ ჭეშმარიტებას, რომ ამ ქვეყნად ღირებულია არა დალხენილი ცხოვრება, არამედ — სულიერი (მათე, 6, 19-20), რადგან ამგვარი საქმე, რომელიც არ დაიკარგება, ადამიანებისათვის დარჩება, მხოლოდ და მხოლოდ სულიერი სიმაღლის მქონე პიროვნებამ შეიძლება აღასრულოს („და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“).*

*...სულიერი სიმაღლის საფეხურამდე აღსვლა წიგნებში წასაკითხი რომანტიკული ამბავი არ არის, არამც და არამც. ეს არის... ნიადაგ შემართული ყოფნა, თავგადაკლული ბრძოლა, საკუთარ ხვედრთანაც მუდმივი ჭიდილი და მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების დაუოკებელი ჟინი. ამის დამმახსოვრებელნი იმასაც შევძლებთ, რომ ჩავწვდეთ იმიერპოლარეთიდან გამოქცეული პატიმრის მიერ განვლილი გზის არა მხოლოდ რეალურ, არამედ სიმბოლურ მნიშვნელობასაც: ეს არის მარტოკაცის მიერ განვლილი გზა ცხოვრებისა... წუთისოფლის სახებაა უკუნ ღამეში სვლა თეთრი წყვდიადით“.*

*ჭაბუა ამირეჯიბის და მისი გმირების ტრაგიკული ბედის ზიგზაგები მრავალ მერიდიანზე გადიოდა: საქართველო, რუსეთი, იმიერპოლარეთი, უმოწყალო პლანეტა, შიშის, სიძულვილის, ძალადობის, გმირობის არქიპელაგი „გულაგი“, ბელორუსია, ჩრდილო კავკასია... მე მას გავეცანი 70-იან წლებში — მაღალი, ლამაზი, არაორდინარული, ის ქართული საზოგადოების ეპიცენტრში იყო. „დათა თუთაშხიას“ დაბეჭდვის და რომანის ეკრანიზაციის შემდეგ ბატონ ჭაბუას პოპულარობა მეგა-ვარსკვლავებს უტოლდებოდა... მას წერდნენ წერილებს რუსეთიდან, ჩინეთიდან, აშშ-დან...*

*პუტჩისტური ამბოხების და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ბატონი ჭაბუა მოსულა ჩემი შვილის დაკრძალვაზე, ის ავბედითი 1991-92 წწ. ცუდად მახსოვს. 1992წ. ნოემბერში ვიყავით მისი ულამაზესი შვილის — ირაკლის დაკრძალვაზე. იმის მერე არ მინახავს ბატონი ჭაბუა, რომელიც 2010 წ. 16 ოქტომბერს ბერად აღიკვეცა.*

*დაგვხდა ძველებური სტუმარ-მასპინძლობით, კეთილი ღიმილით. მისი სამუშაო კაბინეტი კვლავ სავსეა წიგნებით, ხელნაწერებით, წერილებით, უნიკალური საჩუქრებით, პორტრეტებით, ხატებით, ჯვრებით... ერთ-ერთი მათგანი უწმინდესმა და უნეტარესმა მიართვა — გულს უმშვენებს. უკურნებელი სენის დამარცხების შემდეგ ბატონი ჭაბუა ვერ ლაპარაკობს, მხოლოდ წერს პასუხებს პატარა დაფაზე. მან მხნედ და ენერგიულად შეავსო საკრალური „ოჯალეშით“ ღვინის ჭიქები უფლის სადიდებლად... წერდა ფლომასტერით დაფაზე, ათამაშებდა პატრიარქის ნაჩუქარ კრიალოსანს, პასუხობდა კითხვებზე.*

*ხანდახან აიღებდა პატარა ეჟვანს და მეუღლეს — ქ-ნ თამარ ჯავახიშვილს მოუხმობდა. ქ-ნი თამარი, მისი ერთგული მეგობარი, პოეტი, რედაქტორი, არქივისტი, მთარგმნელი ჟესტიკულაციის, ტუჩების მოძრაობის გაშიფვრით უმალვე ხვდებოდა, თუ რას ამბობდა, რას თხოულობდა ბატონი ჭაბუა.*

*მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო! წაიკითხეთ ეს პასუხები, დიდი მწერლის, ტანჯული ფილოსოფოსის — განცდის, ფიქრის, იმედის შედეგი.*

*ბერი დავითი კი დაგლოცავთ ჯვრით, რომელიც უდიდეს სიწმინდესთან იყო დასვენებული — ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სამჭვალთან და კალიგრაფიული ხელწერით მოგვიწოდებს:*

*„დაიცავით საქართველო!“*

# დაუმორჩილებელი ქართული სული

## ინტერვიუ-პორტრეტი ჭაბუა ამირეჯიბისა




**— დიდ მწერლებს არ უყვართ მეტრების გახსენება. ვინ იყო თქვენი მასწავლებელი, ვინ არის თანამოაზრე, რას იტყვით თქვენს შეგირდებზე?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჭაბუა ამირეჯიბი დიდ მწერლად არ მიმაჩნია. მწერალი ვარ და ესეც კმარა „სატრაბახოდ“. ახლა კი არსებითი პასუხი ვთქვათ.

ჩემს არქივში არის ფურცელი, რომელზეც ორსტროფიანი ლექსი სწერია ბებიაჩემის, ქალბატონ სოფიო დადიან-ნაკაშიძის მინაწერით და თარილით: „ეს ლექსი ჭაბუკამ 8 წლისამ დაწერა“. ეს იმისათვის გავიხსენე, რომ აღვნიშნო — თხზვა დაბადებიდანვე გამომყვა. შემდგომშიც მქონდა ცდები პოეზიის გზას გავყოლოდი — არაფერი გამომივიდა... მცირე მინაწერი: ასე 13-14 წლისა თუ ვიქნებოდი. ნინოშვილის ქუჩაზე გვქონდა საკუთარი სახლი და ერთი დიდი კაკლის ხე ეზოში. ერთხელ, როდესაც სახლში დავბრუნდი, დავინახე ჩემი უფროსი და როდამი ივანე ჯავახიშვილის ძესთან, ლალისთან ერთად კაკლის ქვეშ, სკამ-მაგიდას უსხდნენ და რაღაცას კითხულობდნენ. დამიძახეს, მივედი და დავინახე ჩემი ნაწერი ფურცლები ეღოთ და კითხულობდნენ. ლალიმ მითხრა: „მწერალი ხარ უკვე, ამ საქმეს თავი არ დაანებო!“. რაღაც მოთხრობის მაგვარი იყო.

მწერლობის მცდელობას თავი არ დავანებე და შემდგომშიც ვლამობდი რაიმე ღირებულის დაწერას. იმდროინდელი ნაწერი აღარაფერი შემრჩა. 1943წ. გვიან შემოდგომაზე ჩეკისტებმა 25 წლით „გულაგში“ გამისტუმრეს. 6-ჯერ გავიქეცი, მათ შორის 3-ჯერ ერთ დღეს — 1945წ. 20 სექტემბერს.

1949 წ. დეკემბერში კვლავ დამიჭირეს, ახლა უკვე ბელორუსიაში, სატყეო კომბინატის დირექტორის რანგში და ისევ 25 წლით მიკრეს თავი ჯერ შუა აზიისა და შემდეგ ციმბირის ბანაკებში. ბოლო 3 გაქცევის შემდეგ შევისრულე 83 წლის პატიმრობა 2 დახვრეტის განაჩენით და მოვეშვი გაქცევებს, რადგან დრო შეიცვალა და კანონიერი გათავისუფლების პერსპექტივაც დაისახა. ახლა უკვე პოლიტიკურ ბანაკებში ბიბლიოთეკებიც დაარსდა. ჩემი ცხოვრების ამ პერიოდიდან ვთვლი თავს მწერლად. ვწერდი, — ჩეკისტები მართმევდნენ, მაგრამ ორიოდე თხზულების შინ გამოგზავნა და წლების შემდეგ, 7 ტომეულში ჩართვაც შევძელი.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ ბედმა 2-3 წელიწადში მარგუნა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის წაკითხვა. შევძელი ბანაკის ბიბლიოთეკის წიგნების წაკითხვაც და ლიტერატურისა, რომელიც იყო გამოგზავნილი პატიმრებისათვის. შენიშვნის სახით მოგახსენებთ, — პატიმარი, ვინც შინიდან წიგნს მიიღებდა, ვალდებული იყო წა-

**— ბერ-მონაზონობა დღენიადაგ აძლიერებდა ეკლესიას, ქვეყანას, საქმით და კალმით ღვთის, ერისა და ქვეყნის ერთობას, ქართველთა სულიერ მისიას ამტკიცებდა. რას იტყვის ბერი დავითი საზოგადოების სულიერ მისიაზე?**

— სულიერი მისია იმთავითვე ერის ფიზიკური არსებობისა და შემდგომი განვითარების ფუძედ და საძირკვლად მიმაჩნდა. ასეა დღესაც, სულიერება კარნახობს, განაპირობებს ჩემი ერის არსებობას, წინსვლასა და მის მომავალ არსს. ასე შთამაგონეს ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ჩემმა ბებიამ — სოფიო მაღალაშვილ-ამირეჯიბისამ და ჩემი ადრეული გონებრივი განვითარების სულის ჩამდგმელმა და ავტორმა, ქალბატონმა მელანია მეძმარიაშვილ-გველესიანისამ, ვისთანაც 6 წლიდან 9 წლამდე ვიცხოვრე. რა ხერხებით მაზიარა ბებიამ ღმრთისა და მართლმადიდებლობის რწმენას, იმით, რომ ეკლესიაში ლამის ფეხის ადგმისთანავე დავყავდი, თუ იმიტომ, რომ ღამღამობით მოწმენდილ ცაში ამახედებდა — „ხედავ, რამდენი ვარსკვლავია? ეს ადამიანს არასოდეს სცოდნია, ვერც როდესმე დაითვლის! ღმერთმა კი არა მარტო შექმნა ცა-ვარსკვლავედი, არამედ კიდევაც იცის პასუხი ამ კითხვისა, რადგანაც მისი შექმნილია იგი, დედამიწა და ჩვენც ამ ცდომილზე მცხოვრები სულიერნი სხვადასხვა ჯიშის, რასისა და მოდგმის ცოცხალი არსებანი“.

ქალბატონმა მელანიამ კი სიცოცხლე და ბუნება ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით განმიმარტა და იმის რწმენა შემძინა, რომ სამყაროში და დედამიწაზე ყველაფერი ღმრთისგან არის; ამასთან ერთად ბიბლიისა და ოთხთავის არსის ცოდნაც შემძინა. ასე ჩამოყალიბდა ღმრთის მორწმუნე მართლმადიდებელი მამაკაცი ჭაბუა ამირეჯიბი, დღეს — ბერი დავითი, ვინც ქართველ ერს ერთგულ მსახურად მოევლინა. რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს სულიერ მისიას — ზემოთ მოგახსენეთ და აღარ გავიმეორებ.

**— თქვენი მოსაზრება ლიტერატურაზე: ლიტერატურა არის პოლიტიკური, სოციალური ცხოვრების სარკე, სულის მკურნალი თუ მმართველი კლასის ინსტრუმენტი?**

— არა მგონია, ყოველგვარი მმართველი კლასის მიზანს შეადგენდეს ლიტერატურის საკუთარი კეთილდღეობის ინსტრუმენტად ქცევა, თუმცა ისტორიას მრავლად შემორჩა ასეთი მაგალითები და დღესაც არის ამგვარი ცდები. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ კაცობრიობამ ეს სენი წარსულის კუთვნილებად აქცია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ყველაფერია მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ სალი თვალი ასეთ მცდელობას დღესაც დაინახავს.

**— კარგად მახსოვს „დათა თუთაშხიას“ საყოველთაო აღიარება, ლიტერატურული გმირი სახალხო გმირად და მსხნელად აღიარეს. „დათა თუთაშხიას“ კითხულობდნენ ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში. ამჟამინდელ საქართველოს სჭირდება ეროვნული გმირი?**

— ეროვნული გმირის გარეშე ერის თვითშეგნება და შემდგომი განვითარება ვერ განხორციელდება. ეროვნული გმირი არა მარტო სიამაყეა, არამედ მისი გმირობის მიბაძვის, შესწავლისა და დახვეწილი ხასიათის განმეორების სტიმულიცაა. ძნელი წარმოსადგენია უგმირო ერი. ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ამა თუ იმ ადამიანის საქციელი ხელოვნურადაა გაზვიადებული და შესაბამისად რეალიზებულიც.

საქართველო, ქართველი ერი, მისი გეოგრაფიული და პოლიტიკური განსახლების გამო, მთელი ისტორიის მანძილზე დამპყრობელთა მადის აღმძვრელი ტერიტორია იყო. გამუდმებულმა მოგერიებამ და უთანასწორო ბრძოლებმა მრავალი გმირი წარმოაჩინა და ამან ჩვენი ფიზიკური არსებობის ხანგრძლივობას დიდი სამსახური გაუწია.

რაც შეეხება XXI საუკუნის საქართველოს და ქართველ ერს, საღად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწის აზრით, ეროვნული გმირის გამოჩენა იმდენად აუცილებელია, რამდენადაც ერს სამართლიანი მისწრაფება აქვს არა მარტო ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, არამედ შემდგომი სულიერი განვითარებისთვისაც. ამათ რიცხვს ვეკუთვნი მეც — ბერი დავითი, ჭაბუა ამირეჯიბი.

კითხვის შემდეგ ეს წიგნი ბანაკის ბიბლიოთეკაში ჩააბარებინა. ასე შედგა საკმაოდ მრავალწიგნოვანი ბიბლიოთეკები ბანაკებში.

ჩვენ პირველსავე სათქმელზე მოვიდეთ — ასე გავეცანი მრავალი მწერლის სტილს, მანერას და მიზნად დავისახე არც ერთ მათგანს არ დავმსგავსებოდი შემოქმედებაში, რასაც, მგონია, მივაღწიე კიდევაც! რაც შეეხება შეგირდებს, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ჩემთან ამგვარი აღსარებით არავინ მოსულა.

**— რა მოხდა მწერალთა კავშირში?**

— ამაზე მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენოთ, რომ იქაურ დაპირისპირებაში მონაწილეობას არ ვიღებ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი 1965 წლიდან ვარ.

მგონია, ყოველგვარი უწესრიგობა და უხამსობა გაჭირვებამ მოიტანა. აქ თავს უფლებას მივცემ მოგახსენოთ, რომ პრეზიდენტი თუ ნებისმიერი მოქალაქე უნდა ფასდებოდეს არა იმით, თუ რა გააკეთა და ტრაბახით გააყრუოს მსმენელი, არამედ იმით, თუ რა საკეთებელს ვერ მოერია, მით უმეტეს, თუ რა გააფუჭა. ჩვენმა მორბენალმა პრეზიდენტმა მოსვლისთანავე წაართვა მწერლებს მწერალთა სახლი და საერთოდ „კუკუ ჰკრა" ლიტერატურას, რადგან ეს ფენომენი კრიტიკას შეიცავს...

**— ოჯახიდან იწყება გვარი, გვარიდან — თემი, თემიდან — ეთნოსი... როგორია ოჯახის როლი ერის ჩამოყალიბებაში?**

— ოჯახი, უპირველეს ყოვლისა, თავისებური ორგანიზაციაა, საიდანაც იწყება ერი. ეს თქვენც ბრძანეთ, რასაც მხოლოდ იმას დავსძენ, რომ ოჯახი ქმნის ერის ზნეობასა და სულიერებას. ოჯახი და მისი წევრები ძალიან მსოფლიო ხალხთა კულტურაში შემავალ თავის წილ ყოფასა და სიცოცხლის ფორმას.

**— მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია 33 უკვდავი სიუჟეტის ვარიანტი. რა განსხვავებული ადგილი უკავია ქართულ სიტყვიერებას მსოფლიო ლიტერატურაში? რა იყო პირველი — სიტყვა თუ ღმერთი?**

— თქვენი შეკითხვის პირველი ნაწილი, გამოგიტყდებით, პირველად მესმის. ამიტომ პასუხს ვერ გაგცემთ. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მოგახსენებთ თუ როგორ მაქვს გაცნობიერებული იგი. მგონია, პირველითგან ღმერთი იყო და ადამიანმა მისი სახელი, ანუ სიტყვა „ღმერთი" მერეღა შექმნა, ახლაც ასე ვფიქრობ, თორემ სიბერემდე მიმაჩნდა, რომ სიტყვა იყო „პირველითგან".

**— თქვენი ულამაზესი ვაჟი გმირულად დაიღუპა აფხაზეთში, ერთ დღეს 63 ამირეჯიბი შეეწირა მონღოლთა შემოსევას. მათი გმირობის ტოლფასია ჩვენი დღევანდელი ყოფა?**

—ჩემი აფხაზეთში დაღუპული შვილი — ირაკლი ამირეჯიბი, მართლაც საკვირველად ლამაზი და ამასთან ერთად თავდადებული ქართველი იყო. დღემდე ვერ შევრიგებივარ მის სიკვდილს. იმ დროს პარლამენტის წევრი ვიყავი და სამძიმარზე ასეთი რეაგირება მქონდა — მადლობელი ვარ თანაგრძნობისათვის, მაგრამ მგონია, რომ ღმერთმა ირაკლის ამირეჯიბთა წინაპრების ხვედრი არგუნა. ჩვენი წინაპრები მეომრები ან დიპლომატები იყვნენ, ერთმა მათგანმა, სახელად ქურციკმა, ერთ-ერთი ბრძოლის ველიდან ჯალალ-ედ-დინს, რომელმაც გაქცევა არჩია, თავჯი დააგდებინა შუბით და ბერად შედგა, რადგან ღმრთის ნება იყო, რომ ვერ განგმირა. ისე კი სწორს ბრძანებთ, მონღოლებმა მოსალაპარაკებლად დაბარებული 63 ამირეჯიბი მოკლეს. მათზე ადრე ამავე მისიით ფალავანდიშვილები ჩავიდნენ, მაგრამ უვნებლად დაბრუნდნენ. ისტორიისათვის დღემდე უცნობია, თუ რა მიზეზით განხორციელდა ამირეჯიბთა განადგურება. მრავალი თავდადებული ქართველი ეწირებოდა სამშობლოს. გამოჩნდებიან დღესაც! ჩვენ ველით მათ. სხვა რა გითხრათ?...

**— თქვენი ავტოპორტრეტი...**

წარსულში — მშვენიერი გარეგნობის სპორტსმენი, მებრძოლი, დაუმორჩილებელი მამულიშვილი, „გულაგის" სისტემაში საყოველთაო გმირად აღიარებული „მარბენალი" (Беглеца). ამჟამად — უმწეო, თითქმის 90 წლის ბერიკაცი, ვისაც დაკარგული აქვს ხმა, სმენა, მუხლის ძალა, ნაწილობრივ მეხსიერებაც და ვარ კაცი, 90 წლამდე სიცოცხლეს რომ აპირებს... აი, ავტოპორტრეტიც!

**— არ დაგეთანხმებით, ბერო დავით! თქვენ ლოცულობთ, ფიქრობთ, აქვეყნებთ წერილებს... რაზე მუშაობს კლასიკოსი დღეს, რაზე ოცნებობს?**

— ფანტაზიას და საჭირო სიტუაციების მიგნების უნარს, როგორც ჩანს, სამუდამოდ ვუსურვე მშვიდობა. ერთადერთი, რისი ძალაც შემწევს, ინტერვიუებია... მკითხველთან წერილობითი საუბარი შესაძლოა უკანასკნელიც იყოს. პირადად მე არ ვიცნობ მწერალს, ვინც 90 წლისამ ყურადღების ღირსი თხზულება შექმნა.

**— როგორ აღვადგინოთ კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობანი რუსეთთან?**

კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ, გარდა იმისა, რომ დრომ უნდა მოიტანოს მხარეთა პოზიციების რევიზია. დიახ, დროა საჭირო იმისათვის, რომ რუსეთმა სამხრეთული მიზნები გადასინჯოს, ხოლო საქართველომ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული შეხედულებები ვითარებას მიუსადაგოს.

დროა, შევისმინოთ ჩვენი სულიერი მამის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სიტყვები, 2011 წ. 27 თებერვალს თქმული მის განცხადებაში: „წარსულიდან გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ და ჩვენი ერებისა და ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, მზერა მომავლისკენ მივმართოთ. გვახსოვდეს ბრძენის სიტყვები: „ვიდრე ამომავალ მზეს დაინახავდე, შენს მეზობელს ხედავ". მეზობლებს შორის მტრობის გაგრძელება დაუშვებელია!"

**— როგორ მიმართავდით ერს?**

ჩემი დევიზია — „ჭკუით, ქართველებო!" ქართველ ერს ვურჩევდი გონიერებასა და მამულიშვილობაში ურყევობას. დრო ყველაფრის მკურნალია!

**ია ბაგრატიონ-მუხრანელი,**

**ქართველ თავად-აზნაურთა საკრებულოს ვიცე-წინამძღოლი.**

თბილისი

დამპიტარო, დიმპიტარო...

# სააკაშვილს მსხვილი ტარო!

***მერწმუნეთ, ნამდვილად ეკუთვნის ბატონ მიხეილ სააკაშვილს ამერიკული ჰიბრიდული თესლიდან მიღებული სიმინდის მოსავლიდან ყველაზე მსხვილი ტარო მარტო იმ დითირამბების გამო, რომლითაც ოკეანისგაღმელმა მაგნატმა დონალდ ტრამპმა საქართველოს ქარიზმა პრეზიდენტი არც თუ დაუმსახურებლად შეამკო. როცა ბატონმა ტრამპმა მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოს კერპად და ქვეყნიერების უდიდეს ლიდერად მონათლა, თავის პოზიცია იქვე გაამყარა მსოფლიო ბანკისა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობილი შეფასებებით, რომ საქართველოს ლიდერი გახლავთ მსოფლიოში უპირველესი რეფორმატორი, დემოკრატიის შუქურა და კორუფციასთან მებრძოლი ხმალშემართული რაინდი, რომლის გონებრივი შესაძლებლობები ბევრად აღემატება რეგიონულს და დიდად სასურველი იქნება თუ ამ რეზერვს მსოფლიოს გიგანტი ამერიკა სათავისოდ გამოიყენებსო.***

ვერ გეტყვით, სამომავლოდ რამდენად სრულად აითვისებს ამერიკა სააკაშვილის დღემდე აუწონ-აუზომავ გონებრივ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მაგრამ იმავე სააკაშვილმა საკუთარი ქვეყანა რომ დამშეული ეკონომიკის პოლიგონად აქცია, ამას დღეს მთელი დუნია ხედავს და აღიქვამს. ნაცების მიერ „ნაკეთებ საქმეებს" თავი რომ დავანებოთ (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), მარტო ჩავარდნილი პროგრამების („ანტიკრიზისული პროგრამა", „დასაქმების პროგრამა", „იაფი კრედიტის პროგრამა", „ასი ახალი საწარმოს აშენების პროგრამა" და ასე შემდეგ და ასე შემდეგ) გახსენება რად ღირს, რომლებიც აქაურმა ოპოზიციამ, არც მეტი, არც ნაკლები, უტოპიად მონათლა. შენ უტოპია ეძახე და სააკაშვილმა სწორედ ამ „უტოპიური რეალობით" დაიმკვიდრა მთელ მსოფლიოში პირველი რეფორმატორი პრეზიდენტის ესოდენ საოცნებო სახელი(!).

ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ტყუილუბრალოდ სდებენ ბრალს ბატონ მიხეილს უტოპიური პროგრამების განუხორციელებლობაში. უტოპიას სწორედ იმიტომ უწოდებენ უტოპიას, რომ მისი რეალური ხორცშესხმა შეუძლებელია. ეს ჭეშმარიტება თავადაც კარგად მოეხსენება სააკაშვილს და ამიტომაც ვირეშმაკობს — პროგრამებს უტოპიურს ადგენს, ხოლო რეალურად ისეთ საქმეებს აკეთებს, რაც მონოპოლისტურ ბიზნესს ააყვავებს, ხოლო ქვეყნის ეკონომიკას დაქცევის ზღვარზე დასვამს, იტყვის მეწარმეობას ვავითარებო და ფაქტობრივად საგადასახადო ტვირთითა და ჯარიმებით სულს ამოხდის, შეგპირდება, ხალხს დავასაქმებო და უმუშევრებს მოამრავლებს. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი „მაგარი მიშა" ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ერთის გამოკლებით, მას არ დაუტრაბახია, მაგრამ ფაქტობრივად „დიდი საქმე გააკეთა", როცა საქართველოდან უცხო ქვეყნებში გადახვეწილი მილიონნახევარი (შეიძლება უფრო მეტიც), ადამიანი იქ უკლებლივ დაასაქმა. რას იზამ, ხელისუფლება შეიძლება ბევრ რამეში აკრიტიკო, მაგრამ გაკეთებული საქმეც არ უნდა დაუკარგო!

აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო ის ნაყოფიერი, ქვეყნის გადამრჩენი საქმიანობა, რასაც ხელისუფლება საინვესტიციო სფეროში ეწევა. და ამასთან ერთად ისიც, რომ გლობალური კრიზისის ამ მძიმე დღეებში, როცა ყველა ქვეყანას თავისი გასჭირვებია, პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერი გილაური, ეკონომიკის მინისტრი ქობალია, სხვა მსხვილმსხვილი ჩინოვნიკები მთელ მსოფლიოს (რევოლუციების ალში გახვეულ არაბეთს, აფრიკას, ამერიკას და სხვ.) არიან მოდებული ინვესტიციების საძიებლად და საქართველოში მოსაზიდად. მართალია მათ მიერ მონაგარი ინვესტიციების წყალობით დღემდე ვერც თავისუფალი ინდუსტრიული ზონები გავხსენით, ვერც სინგაპურს დავემსგავსეთ და ვერც გაჩერებული საწარმოები ავამუშავეთ, მაგრამ იმას კი მივაღწიეთ, რომ ამ საწარმოებიდან საზღვარგარეთ ჯართის უკანასკნელი კილოგრამები გავზიდეთ. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელმაც ბოლო ათწლეულის მანძილზე ბარე ხუთი ინვესტორი (თუ მეტი არა) მაინც გამოიცვალა, მაგრამ საქმე არც ერთმა არ გააკეთა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყოველმა მათგანმა თუკი რამ ლითონი იყო დარჩენილი, მეზობელ თურქეთში ჯართად გაიტანა.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ წლების მანძილზე საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია, რომელთანაც შარშან მთლიანმა სავაჭრო ბრუნვამ 96 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. არ იკითხავთ, ამ მოცულობის თანხაში როგორია ექსპორტის წილი და რომელია მთავარი საექსპორტო პროდუქცია? თურმე შავი ლითონების ჯართი და დახერხილი ხეტყის მასალა. შემცირებულია ახალი თევზის, ხორცის და ფეროშენადნობების წილი. თურქეთიდან იმპორტი კი თითქმის გაორმაგებულია. საერთოდ, საქსტატის მონაცემებით, საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი შარშან 68 პროცენტით გაიზარდა და 288 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

არის სხვა მაჩვენებლებიც, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება სულაც არ მოგვეჩვენოს გადაჭარბებულად ჩვენი პრეზიდენტის საქმიანობისა და სახელგავარდნილობის ტრამპისეული შეფასება. ავიღოთ თუნდაც, რადგან ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ვახსენეთ, საქართველოში ექსპორტ-იმპორტის შეფარდება. გაუგებარია, რა პირით უნდა წამოგცდეს იმ ქვეყნის ლიდერზე აუგი, სადაც ბაზრის 80 პროცენტი იმპორტს უკავია, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი — ექსპორტია. და ამ ექსპორტში პირველობა რომელ ბრენდს ეკუთვნის, არ იკითხავთ? თურმე მსუბუქ ავტომობილებს, რომლებსაც საქართველო საერთოდ არ აწარმოებს, მაგრამ საექსპორტოდ კი ბლომად გააქვს(!?). და ეს მაშინ, როცა უძველესი მიწათმოქმედების ქვეყნად აღიარებულ საქართველოს (ეს ისტორიული ფაქტი სააკაშვილმა სულ ახლახან აღმოაჩინა) ნიორი, ხახვი, კარტოფილი თუ სტაფილო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოაქვს, მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაუსაქმებელი, გადახდისუუნარო და საჭმელს დახარბებული ჰყავს.

ნათქვამია, ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო. ზოგმა შეიძლება ეს მედიკამენტივით ვადაგასული ანდაზა სააკაშვილს მოარგოს (განსაკუთრებით ტრამპული ქებათაქებების შემდეგ), მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, დედამიწის იმედად და დემოკრატიის შუქურად აღიარებული სააკაშვილი თავის კოლეგა ლუკაშენკომ ამ დღეებში როგორი ეპითეტით შეამკო. მან ისე, რომ არც კი დაფიქრებულა, ამ ჩვენს მსოფლიო ლიდერად გამოცხადებულ პრეზიდენტს ძაღლიშვილი არ უწოდა? თანაც ეს „აზრა" ისე მიაკერა, რომ სააკაშვილის ძაღლიშვილობა არაფრით დაუსაბუთებია. მერე რა, რომ ბელარუსი პენსიონერი ქართველზე გაცილებით მეტს — 100 დოლარს იღებს, ერთ კუბმეტრ გაზში, ლარზე გაანგარიშებით, 25 თეთრს იხდის, ხოლო ელექტროენერგიაში — 10 თეთრს, სამაგიეროდ პრეზიდენტი ლუკაშენკო რომ გაუთლელი ავტოკრატია, ხოლო სააკაშვილი პლანეტის შუქურა ლიდერი, ეს ამერიკელი მაგნატის (ტრამპის) და სხვათა წყალობით, მთელმა მსოფლიომ უწყის.

თუმცა იმავე ტრამპს, რომელსაც სააკაშვილის მსოფლიო გამქუხარსახელებისთვის ჩვენგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, ალბათ პატარა საყვედური მაინც უნდა შევბედოთ, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ საქართველოში დაწყებული ბოლო რეფორმა (აგრარულს ვგულისხმობ) გაკვრითაც კი არ უხსენებია. არადა ამ რეფორმის თავი და თავი კომპონენტი (სიმინდის ჰიბრიდული თესლი) ხომ სწორედ ამერიკიდან შემოგვაქვს. ამდენად თუ სადმე სამართალია, ტრამპს გაკვრით მაინც უნდა მიენიშნებინა, რომ ამ სიმინდის მოსავლიდან ყველაზე მსხვილი ტარო თავად რეფორმის ავტორს — სააკაშვილს ეკუთვნის, შედარებით ნაკლებად მსხვილები — ვერონიკა მინისტრსა და ბაკურ კვეზერელს, რომელიც ამ უიშვიათესი მარცვლეულით ალბათ პირველ რიგში საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილ დედალ-მამალ ძროხებს დააპურებს.

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების დასაქმებაზე ლაპარაკი ზედმეტია

**სამართალმცოდნე ზაქარია ქუცნაშვილი ქართველი ემიგრანტებისადმი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპირებებს მორიგ ფარსს უწოდებს და აცხადებს, რომ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების დასაქმებაზე ზედმეტია საუბარი, როცა აქ მყოფი ხალხიც სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ გარბის.**

**მისი თქმით, სააკაშვილის მსგავსი დაპირებები და მოწოდებები ემსახურება ერთ მიზანს: საზოგადოებაში შექმნას აზრი, თითქოს საქართველოში ყველაფერი კარგად არის და ქვეყანა ეკონომიკურად ვითარდება, სოციალური უსამართლობა კი დაძლეულია.**

**როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საქართველოს ბევრი მოქალაქე გახდა პრეზიდენტის და ხელისუფლების პიარის მსხვერპლი, ემიგრანტებიც სწორედ ამ პიარს ეწირებიან.**

**— პიარს შეეწირა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სოფლის მეურნეობა. 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ, ძლიერი ხელისუფლების იმიჯის შესაქმნელად რუსი ჯაშუშების დაკავებაზე მომზადებული ფილმები გაუშვეს, რამაც ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ჩაკეტვა, სოფლის მეურნეობის კვდომა და ათასი სხვა პრობლემა გამოიწვია. ასე მოხდა 2008 წელსაც — სააკაშვილის იმიჯი სერიოზულად იყო შერყეული და პრეზიდენტადაც კი აღარ აღიქვამდნენ.**

**სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებს დიდი იმედგაცრუება ხვდებათ, რადგან სამსახურს ვერ შოულობენ და ისევ უკან მიდიან, — განაცხადა „მედიანიუსთან" საუბრისას ზაქარია ქუცნაშვილმა.**

მედიანიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში: საქართველოსთან გონივრული კომპრომისი შესაძლებელია

**შვეიცარიის ქალაქ ბერნში მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს და რუსეთის მხარეებს შორის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შესახებ. რუსეთის შეერთება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან გართულებულია რამდენიმე ფაქტორით, ერთ-ერთი მათგანი კი საქართველოს ფაქტორია. საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ახალი წევრობის მიღების შესახებ უნდა გადაწყდეს ერთსულოვნად – ყველა მონაწილემ უნდა განაცხადოს თავისი თანხმობის შესახებ, და თუ საქართველო, რომელიც არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, არ მისცემს თანხმობას რუსეთის შესვლაზე, ეს დიდი ხნით ბლოკავს რუსეთის გზას ამ ორგანიზაციაში.**

საქართველომ უკვე განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ რუსეთთან დიალოგზე ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ რუსეთს ძნელად რომ ხელს აძლევდეს საქართველოსთან განხილვის სფერო. ურთიერთვაჭრობის საკითხები, რომლებშიც არის უთანხმოებანი მოსკოვსა და თბილისს შორის, სწორედ რეგულირდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ.

საქართველოს პოზიცია უკვე რამდენიმე წელია არ იცვლება. საქართველოს მხარე დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ქართველი მებაჟეები უნდა იმყოფებოდნენ რუსეთისა და აფხაზეთის, რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის საბაჟო პუნქტებში. ეს ორი რესპუბლიკა კი დე იურე საქართველოს ტერიტორიებია. თბილისი აცხადებს, რომ ვაჭრობა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის დროსაც საქონელი გადაადგილდება სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის გავლით, შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოსთვის საზღვრები სეპარატისტულ რეგიონებსა და რუსეთს შორის, უბრალოდ, არ არსებობს.

რუსეთის პოზიცია კარდინალურად განსხვავდება საქართველოსგან. სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებით, მოსკოვს არ შეუძლია ცალმხრივად დაუშვას ქართველი მებაჟეები კონტროლზე. ალტერნატივაა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის სუვერენიტეტის არასრული აღიარება საბაჟო საკითხებში – ეს მოსკოვისთვის მიუღებელია.

თუმცა, მხარეებს შორის არის რეალური შესაძლებლობაც გამოძებნონ კომპრომისი ამ რთულ სიტუაციაში. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება რუსეთის ემბარგოს გაუქმების შესაძლებლობას, რაც მოსკოვმა შემოიღო საქართველოში 2008 წლის ზაფხულის ომის შემდეგ. საქართველო მაშინ სერიოზულად დაზარალდა რუსეთის ბაზრის დაკარგვით – იქ აიკრძალა ღვინის, მინერალური წყლების, ხილის შეტანა საქართველოდან, რაც მძიმე დარტყმა აღმოჩნდა ქვეყნისთვის. დღეს კი საქართველოს პოზიციის შესამსუბუქებლად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით რუსეთს შეეძლო გაეუქმებინა ემბარგო ქართული საქონლის შეტანაზე აკრძალვასთან დაკავშირებით და აღედგინა ვაჭრობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს დიპლომატიური ურთიერთობების გარეშეც.

წავა რუსეთი ასეთ ჟესტზე? ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ჯერ ერთი, რუსეთს უსაქართველოდაც ბევრი პრობლემა აქვს, რომლებიც აბრკოლებენ ქვეყნის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

უწინარეს ყოვლისა, რუსეთს გადაუჭრელად რჩება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მწარმოებელთა მხარდაჭერის მაქსიმალური ნებართვის მოცულობის საკითხებზე სხვა ქვეყნების მხრიდან. ესენია ხორცის განსაზღვრის საკითხები, კვოტები საქონლის, ღორის და ფრინველის ხორცის შემოტანასთან დაკავშირებით რუსეთში და სხვ.




ამას გარდა, ეს არის ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევა რუსეთის მხრიდან, აგრეთვე ჯექსონ-ვენიკის შენარჩუნებული მემკვიდრეობა, რაც ასევე დაბრკოლებას უქმნის რუსეთის სწრაფ შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე, საქართველოსთან მოლაპარაკების დაჩქარება რუსეთისთვის სავალდებულო როდია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვს იმედი აქვს დასავლეთის მხარდაჭერისა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, ხოლო პრობლემები საქართველოსთან რუსეთმა თავად უნდა გადაჭრას.

საკითხი რუსეთის წევრობის შესახებ მნიშვნელოვანია მსოფლიო ვაჭრობისთვის, და მოსკოვს იმედი აქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა შეძლებენ დაარწმუნონ საქართველო დათმოს თავისი პოზიციები. რუსეთი მსოფლიოში ერთადერთი დიდი ეკონომიკაა, რომელიც არ არის დაკავშირებული შეზღუდვებთან, რასაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აწესებს იმპორტულ ბაჟებზე. ასეთ სიტუაციაში დასავლეთისთვის ხელსაყრელია რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

მოსკოვში ჩასული ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის მოლაპარაკება ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვა საკითხებთან ერთად შეეხება საქართველოს წინააღმდეგობასაც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით. მოსკოვს იმედი აქვს, რომ ვაშინგტონი დაარწმუნებს თბილისს, მოხსნას თავისი ამჟამინდელი წინააღმდეგობანი, და ამერიკის მხრიდანაც არის იმის სიგნალი, რომ შეეცდება ხელი შეუწყოს ამ საქმეში, თუ გავითვალისწინებთ მოსკოვის პოზიციას ლიბიასთან ურთიერთობაში.

რუსეთმა არა მხოლოდ მხარი დაუჭირა დასავლეთის მიერ ინიცირებულ გაეროს სანქციებს ლიბიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, არამედ დაგმო კიდეც ლიბიაში მიმდინარე სამხედრო დანაშაულები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

უკიდურეს შემთხვევაში, რუსეთს აქვს კიდევ ერთი ხვრელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლისთვის. მოსკოვმა შეიძლება მოითხოვოს დაბეჯითებით, რომ მისი შეერთება ორგანიზაციასთან მოწონებული იქნება არა დაინტერესებული მონაცემების კონსენსუსით, არამედ ხმების უმრავლესობითაც. ეს შესაძლებლობა არ არის გამორიცხული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით, თუმცა იგი არასოდეს არ გამოუყენებიათ. ასეთი სცენარის დროს რუსეთის მხარეს მოუწევს მოელაპარაკოს ორგანიზაციის წევრებს მრავალმხრივი მოლაპარაკების წესების უგულებელყოფაზე და პრეცედენტის შექმნაზე ამ საკითხში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან სწრაფი მიერთებაც რთული იქნება.

რუსეთს, უეჭველია, ექნება სარგებელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლისგან, ის მიიღებს უფლებას გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვაჭრობის წესებზე, დაიცვას ექსპორტი და თავისი მწარმოებლები საგარეო ბაზარზე.

მაგრამ რამდენად სავარაუდოა, რომ ამჟამინდელი ადმინისტრაცია შეძლებს გავლენა იქონიოს საქართველოს პოზიციაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხზე, და შეძლებს თუ არა რუსეთი ორგანიზაციაში შესვლის გულისთვის წავიდეს გონივრულ კომპრომისზე თბილისთან, – დიდი საკითხია.

TREND

# დონალდ ტრამპი საქართველოში განსახორციელებელ პროექტებში საკუთარ ფულს არ დააბანდებს

**როგორც რადიოსადგურ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კომპანია „სილქ როუდ ჯგუფის“ ხელმძღვანელმა გიორგი რამიშვილმა აღნიშნა, თბილისსა და ბათუმში განსახორციელებელ პროექტებში ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი საკუთარ თანხებს არ დახარჯავს. თუმცა აღნიშნული პროექტისთვის ინვესტიციების მოზიდვაში დაეხმარება.**

– პირველია დონალდ ტრამპის სახელი, ანუ ლიცენზია, მეორე კი – ფულის მოზიდვა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ ტრამპი პროექტებში საკუთარ ფულს ჩადებს, თუმცა არც ესაა გამორიცხული. განსაკუთრებულად მნიშნელოვანია ისიც, რომ ტრამპი დაგვეხმარება ამერიკისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფულის მოზიდვაში, – აღნიშნა გიორგი რამიშვილმა.

მისივე თქმით, დონალდ ტრამპი პროექტის განხორციელების პროცესებში მონაწილეობას მიიღებს მარკეტინგისა და მენეჯმენტის დონეზე.



– მე მგონი, ეს არის ძალზე კარგი პარტნიორული კონტრაქტი დონალდ ტრამპის ორგანიზაციასა და „სილქ როუდ ჯგუფს“ შორის, – განაცხადა რამიშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული პროექტი ჯერ ბათუმში განხორციელდება, შემდეგ კი თბილისში.

დონალდ ტრამპსა და კომპანია „სილქ როუდ ჯგუფს“ შორის პარტნიორული ხელშეკრულება გასულ კვირას ვაშინგტონში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისას გაფორმდა. ხელშეკრულების მიხედვით, ბათუმსა და თბილისში საცხოვრებელი კომპლექსი და სასტუმრო აშენდება.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდის ინფორმაციით, ამერიკელი მილიარდერის ინვესტიციით, მშენებლობაში პირველ ეტაპზე 250 მილიონი ამერიკული დოლარი ჩაიდება, თუმცა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა სამომავლოდ ინვესტიციის გაზრდას გეგმავს.

როგორც ცნობილია, სამი დღის წინათ ნიუ-იორკის მეხუთე ავენიუზე მდებარე „Trump Tower“-ში დონალდ ტრამპსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოში, კერძოდ, თბილისსა და ბათუმში ლუქსის კლასის ორი 40-სართულიანი ცათამბჯენი აშენდება. თბილისში, რევოლუციის მოედანზე Trump Tower აშენდება, ხოლო ბათუმში – Trump Riviera. თითოეულში 100-მდე ელიტური აპარტამენტი განთავსდება.

ინტერპრესნიუსი

## დედამიწის ზურგზე




**„ფუკუსიმა-1“-ის ატომურ ელექტროსადგურზე მოხდა ორი ახალი აფეთქება.**

დანგრეულია ენერგობლოკის გალავანი, მაგრამ თავად რეაქტორი არ დაზიანებულა. იაპონიაში კვლავ ითვლიან დაღუპულთა რაოდენობას. პრეფექტურა მიაგის სანაპიროზე აღმოაჩინეს დაახლოებით 2 ათასი ცხედარი. კიდევ დაახლოებით ათასი დაღუპული აღმოჩნდა ოსიკის ნახევარკუნძულზე და ამდენივე ზღვის სანაპიროზე ქალაქ მინამისანრიკთან.

* * *

**მეატომეებს ეშინიათ „ჩერნობილის სინდრომისა“ „ფუკუსიმაზე“ ავარიის შემდეგ**



ჯერ კიდევ 2000 წლის დასაწყისში ბირთვული ენერგეტიკა სტაგნაციის მდგომარეობაში იყო ჩერნობილის აფეთქების რეზონანსის გამო. 2000 წლის მხოლოდ მეორე ნახევარში დაიწყო „ბირთვული რენესანსი“. ახლა ყველა ბირთვული ენერგეტიკული გეგმა შეიძლება გადადებული იყოს განუსაზღვრელი ვადით.

* * *

**6,2 მაგნიტუდის ახალმა მიწისძვრამ შესძრა იაპონია. „ფოკუსიმა-1“-ის მესამე რეაქტორიდან ევაკუირებულია პერსონალი**

მიწისძვრამ ძლიერ შეარყია ნაგებობანი იაპონიის დედაქალაქში, მათ შორის იტარ-ტასის შენობაც. ზარალი არ არის. ნგრევებისა და დაზარალებულების შესახებ ცნობები არ არის. მიწისძვრის კერა იბარაკის პრეფექტურის სანაპიროზე წყნარი ოკეანის ფსკერზე 10 კილომეტრის სიღრმითაა.



* * *

**„ნასას“ ახალი მონაცემები: მიწისძვრამ იაპონიაში დედამიწის ღერძი 17 სმ-ით გადააადგილა**

ამერიკელი მეცნიერის როსის სიტყვებით, დედამიწის საკუთარი ღერძი, რომელიც არ შეიძლება შეგვეშალოს პლანეტის ბრუნვის ღერძთან, გადაადგილდება თანდათანობით იმ ნებისმიერი მოვლენების ზემოქმედებით, რომლებიც იწვევენ მასების გადანაწილებას დიდ ობიექტებში.

* * *

**ლიბიაში მიმდინარეობს ბრძოლები ქალაქ მარს-ელ-ბრეგისთვის. მეამბოხეებმა კადაფის ჯარები ხაფანგში შეიტყუეს**

ზოგი მონაცემებით, მთავრობის ძალებმა გაასუფთავეს მნიშვნელოვანი ნავსადგური მეამბოხეებისგან, სხვა მონაცემებით – მათ უკვე განდევნეს კადაფის ხალხი ქალაქიდან. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მუამარ კადაფი გაუსწორდება მეამბოხეებს უფრო ადრე, ვიდრე მათ დასახმარებლად ჩამოასწრებენ დასავლელი მფარველები.



**თამარ გიორგის ასული კუპრაძე დაიბადა 1927 წელს ქ.ბორჯომში. 1945 წელს ფრიადზე დაამთავრა ბორჯომის № 1 სანიმუშო სასწავლებელი. 1945-49 წლებში სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, საიდანაც განაწილებით მოხვდა ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის საშუალო სკოლაში. ამ სკოლაში ასწავლიდა 1949-50 წლებში, შემდეგ კი გორის ვაჟთა საშუალო სკოლაში 1950-51 წლებში. 1951 წლის იანვრიდან სიცოცხლის ბოლომდე სუფსის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, 1972-77 წლებში პარალელურად მუშაობდა სუფსის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 2011 წლის თებერვალში. 16 მარტს ქალბატონ თამარის გარდაცვალების მეორმოცე დღეა.**

## თამარ კუპრაძის ხსოვნას

# ქალი, რომელიც დააკლდა სოფელს

## დედა, პედაგოგი, მოღვაწე

### ცხოვრების დიდი გზა

**1948 წელს, მაშინ როცა ქალბატონი თამარ კუპრაძე ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, სოფელ სტეფანწმინდაში მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის გახსნა მოეწყო.** ირგვლივ საოცარი პეიზაჟი გადაშლილიყო. ბუნების ამ სილამაზით მოხიბლულებმა მხიარული, ქართული, ძარღვიანი სიმღერები შემოსძახეს. სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ კი მკლავები ვაჟკაცურად გაშალა და „ქართულის" საცეკვაოდ რამდენიმე ქალბატონი მოიხმო. სამწუხაროდ, პარტნიორობა ვერავინ გაუწია. ახლა კი გაბედა მორცხვად მკლავების გაშლა შავტუხა, ცქრიალა თამარმა, რომელიც თურმე სიმაღლით მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა, მაგრამ 1939 წლის ბავშვთა პირველი ოლიმპიადის მონაწილე, ბორჯომის სახელმწიფო ანსამბლის ყოფილი წევრი, შესანიშნავად ცეკვავდა.

ცოტა ხნის შემდეგ გორში იოსებ სტალინის დაბადების დღესთან დაკავშირებული მწერალთა საღამო გაიმართა. ვახშამზე სრულიად მოულოდნელად თამადად დასახელდა თამარ კუპრაძე, შეშინდა თურმე ქალბატონი თამარი. პატარა გოგომ, რომელსაც ორი სიტყვა ერთად არ გადამიბამს, ამ მაღალ საზოგადოებაში რა თამადობა უნდა გავწიოო. კარლო კალაძემ გაამხნევა თურმე: „რისი გეშინია, ლექსები ხომ იცი". ამ შეძახილს იმედი მიუცია და სულ ლექსებით გასძღოლია საღამოს. წლების შემდეგ თამარ კუპრაძემ გოგლა სუფსაში მოიწვია.

საზეიმო შეხვედრა გაიმართა სუფსის კულტურის სახლში. საყვარელ პოეტს უამრავი თბილი სიტყვა უძღვნეს მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. გაიმართა კონცერტი. დასასრულს, ბავშვებმა გიორგი ლეონიძეს უძღვნეს საკუთარი ლექსებით სავსე ალბომი, რომელსაც ოქროს კალამი ამშვენებდა. ოქროს კალამი თურმე ბათუმელ ოქრომჭედელს დაამზადებინეს წარწერით — „ძია გიორგის — სუფსის საშუალო სკოლის ლიტერატურული წრის წევრებისგან".

მოგვიანებით ქალბატონმა თამარ კუპრაძემ გიორგი ლეონიძისგან მიიღო მადლიერებით სავსე ბარათი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „მე თქვენი ოქროს კალმით ვწერ და მსურს ოქროსვე სიტყვებით შეხვიდეთ ჩემს ნარკვევში".



საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე (მარჯვნიდან პირველი) სტუმრად სოფელ სუფსაში. სიტყვას ამბობს თამარ კუპრაძე.

* * *

თამარ კუპრაძე, ძლიერი მასწავლებელი და ორგანიზატორული ნიჭის მქონე პიროვნება, არ გამორჩენიათ მხედველობიდან მაშინდელ ხელმძღვანელ მუშაკებს და იგი 1972 წლიდან პარალელურად გადაიყვანეს სუფსის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე იგი 1977 წლამდე მუშაობდა. თან არც სკოლა მიუტოვებია.

ამ ხნის განმავლობაში სოფლისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო წყლის პრობლემის მოგვარება.

რკინიგზის მახლობლად, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა „ტალახში იხრჩობოდა", გაკეთდა არხი. ამ სამუშაოებისთვის საჭირო თანხა ქალბატონი თამარის თხოვნით მაშინდელმა რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრმა გრიგოლ ქადაგიძემ გადმორიცხა. „ბარი და თოხი საბჭოში მქონდა, ვისაც უსაქმურად მდგომს დავინახავდი, ვამუშავებდი".

სხვადასხვა დამსახურებისათვის მას მიღებული აქვს ლენინის საიუბილეო მედალი, საპატიო სიგელები, დიპლომები. იყო რამდენიმე მოწვევის რაიონული და სასოფლო საბჭოს დეპუტატი, ხელმძღვანელობდა განათლების და კულტურის მუდმივ რაიონულ კომისიას.

გარდა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მიღებული ჯილდოებისა, თამარ კუპრაძეს უამრავი დიპლომი დაუმსახურებია პედაგოგიური მოღვაწეობისთვისაც.

**მეგობრები, კოლეგები.**

### მასწავლებელთა მასწავლებელი

**როგორც არასდროს დავივიწყებ მშობლებს, ისე არასდროს დამავიწყდება მასწავლებლები, ცოლ-ქმარი ფილოლოგი — თამარ კუპრაძე და ისტორიკოსი დავით მექვაბიშვილი. ქალბატონი თამარი იყო ჩემი მასწავლებელი, მეგობარი, მრჩეველი და დამრიგებელი. თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც განსხვავებული ყველასაგან.**

მაგონდება... მე როგორც მასწავლებელს და იმავე სკოლის დირექტორს, განათლების სამინისტროში, „სახალხო განათლების წარჩინებული" მედლით მაჯილდოვებდნენ. ამაყად, დარბაზიდან გაისმა მისი ომახიანი, გულშიჩამწვდომი ხმა — მე ვარ მაგ მასწავლებლის მასწავლებელი — და გთხოვთ სიტყვა მომეცითო.

გმადლობთ — თამარ მასწავლებელო!

წყვდიადს ანათებდეს — ჩვენი სანთლები.

**რუსუდან ვასაძე.**
10.03.2011 წ.

### დაუვიწყარი

**თქვენი მაღალზნეობრივი პედაგოგიური მოღვაწეობით, პირადი მაგალითით, ვინ მოთვლის რამდენი ახალგაზრდის ნორჩ გულებში ჩანერგე ფესვი სათნოებისა და სიყვარულის. ვინ მოთვლის ამ ნორჩებიდან რამდენი ღირსეული პიროვნება შეემატა ჩვენს სამშობლოს.**

თამარ მასწავლებელო, თქვენ ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი ბრძანდებოდით.

ჩვენ გვჯეროდა თქვენი, გვჯეროდა თქვენი ღიმილის, თქვენი სიტყვის, დუმილისაც კი...

რადგან ერთ-ერთი იმათგანი იყავით, ვინც გვაგრძნობინა, რომ ამქვეყნად არსებობენ ჭეშმარიტი ადამიანები თავიანთი ქვეყნის, სოფლის, ოჯახის საქმის ერთგულნი.

**სუფსის საშუალო სკოლის პედაგოგები**



თამარ კუპრაძე და დავით მექვაბიშვილი (წინა პლანზე) თავიანთი დიდი ოჯახის წევრებთან ერთად

### ჩვენო საყვარელო დაიკო!

**ჩვენთვის შენ დაც იყავი, დედაც და მეგობარიც და ყველაფერი ეს საოცრად დიდი სიყვარულით გამოგდიოდა.**

როცა მე დავიბადე, იმ წელს შენ უკვე სტუდენტი გახდი. დიდ სიხარულს, რომელიც ჩემმა დაბადებამ განგაცდევინა, განსაკუთრებული მზრუნველობით გამოხატავდი. პირველი ლექსი, პირველი სიმღერა და წერა-კითხვაც შენ შემასწავლე. აღფრთოვანებას ვერ მალავდი, როცა რაიმე კარგად გამომდიოდა.

როცა შენ ოჯახი გურიის უმშვენიერეს სოფელ სუფსაში დაიმკვიდრე, ჩვენ ხშირად ველარ ვნახულობდით ერთმანეთს და სულ გვენატრებოდი, ასე გაგრძელდა ბოლომდე.

სტუდენტობის პერიოდში ბევრჯერ მახსოვს, მატარებელში ფეხზე დამდგარს მიმგზავრია სუფსამდე, რათა დასვენების დღეები შენთან და შენს ოჯახთან ერთად გამეტარებინა. დაღლა სწრაფად ქრებოდა, როცა შენ სიხარულით გაბრწყინებულ სახეს დავინახავდი, გულში ჩამიკრავდი, სასწრაფოდ ახერხებდი ჩვენს განმარტოებას, რათა ჩემი ცხოვრების არც ერთი დეტალი უყურადღებოდ არ დაგრჩენოდა.

ჩვენ განსაკუთრებული სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი, ამას ყველა ამჩნევდა. შენი სიყვარულით გათამამებული შვილი ზოგჯერ „გისაყვედურებდა": როგორ შეიძლება და და შვილი ერთნაირად გიყვარდესო.

ჩვენო დაიკო, ძალიან ტკბილი და თბილი იყავი. არ გვახსოვს რაიმე თხოვნაზე დაუფიქრებლად არ დაგვთანხმებოდი, მხოლოდ ერთი ბოლო თხოვნა ვერ შემისრულე:

ხშირად გეუბნებოდი, რომ დიდხანს უნდა გეცოცხლა, ვიდრე მე ღრმად არ მოვხუცდებოდი. ამაზეც მეთანხმებოდი, რომ ჩემთვის ის დიდი განცდა აგეცილებინა, რაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლით იქნებოდა გამოწვეული... მაგრამ ეს ვერ შეძელი, იგი შენს ძალებს აღემატებოდა.

ძალიან გვიყვარხარ, და გვენატრები, ჩვენო დაიკო.

**თინათინ და ნოდარ კუპრაძეები**

### სიცოცხლეშივე თამარის წყაროდ იქეცი

**ქალბატონო თამარ! ჩვენ მეზობლები კი არა მეგობრები ვიყავით. ამიტომაც გაგვიჭირდა ასე ძალიან შენთან განშორება.** შენ ხომ უშურველად გასცემდი სითბოს და სიყვარულს. ყველას გვხიბლავდი შენი კეთილშობილებითა და გონიერებით. შენგან გულნატკენი კაცი არავის უნახავს. შენთან მეგობრობა ძალიან დიდ ბედნიერებას გვანიჭებდა. შენი შვილებიც ხომ შენთან მეგობრობდნენ. შენი ხავერდოვანი ხმით წაკითხული ლექსები, ცხოვრებისეული რჩევა-დარიგებები მათ უფლისადმი რწმენასა და სიყვარულს უნერგავდა.

მათ კარგად ახსოვთ სოფლისთვის შენს მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. შენ ჩვენს კუთხეს დიდი ხნის სურვილი — წყლის პრობლემა გადაუწყვიტე. შენმა მეზობლებმა ამ წყალს შენსავე სიცოცხლეში „თამარის წყარო" შევარქვით.

ჩვენი შვილები, 50 წლის მამაკაცები, შენი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ცრემლებს ვერ იკავებენ.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო საყვარელო თამარ!

**მეზობლები: ვენერა, ამალია, ნელი, მზია, ლიანა, მარინა, რუსიკო.**

### უსაყვარლესი ბებია

**დაუვიწყარია შენთან გატარებული დღეები, ჩვენო საყვარელო ბებო. შენ ხომ ჯადოქარი აღმზრდელი და პედაგოგი, წიგნის და წერა-კითხვის დიდოსტატი იყავი. შენ შეგვასწავლე ანა-ბანა, შეგვაყვარე კითხვა, გვაზიარე სიკეთესა და სიყვარულს.**

საყვარელო ბებო, ჩვენ თუ მართლა კარგები ვართ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენი და ბაბუას გენები გვაქვს, ასე სათუთად გვზრდიდი და პირად მაგალითს გვიჩვენებდი... იმ საღამოს თითქმის ერთი საათი გვიკითხავდი „ვეფხისტყაოსანს", ქართული პოეზიის სხვა შედევრებს...

დარწმუნებული ვართ, რომ იქიდან, ზეციური საქართველოდანაც ლოცულობ ჩვენთვის... გულწრფელად ვეცდებით ისე ვიცხოვროთ და ვილვაწოთ, როგორც შენ გაგიხარდებოდა...

ძალიან გვენატრები, არასდროს დაგივიწყებთ!

**დათო, ხათუნა, შორენა, თამარი, მარიამი, ანა, ლუკა, გოგა, ბექა, თამარი, ელენე.**

**რაგბი**

# და ცახცახებდა „მუხის ფოთოლი“

საქართველოს და რუმინეთის მორაგბეთა პაექრობები ყოველთვის დაძაბულობით გამოირჩევა და შაბათს არც „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართული შეხვედრა იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მართალია, მატჩამდე კარპატელებმა განაცხადეს, თბილისში მოსაგებად და ანთიმოზ ივერიელის თასის შესანარჩუნებლად ჩამოვედითო, მაგრამ ორთაბრძოლის პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა, რომ „მუხის ფოთლები“ ცახცახებდნენ „ქართაგან ძლიერთა“. მასპინძლებმა ოცი წუთის განმავლობაში მართლაც ქარიშხალი დაატეხეს თავს მეტოქეს: ჯერ კვირიკაშვილმა 38 მეტრიდან ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა, მერე ზირაქაშვილმა ლელო გაიტანა, კვირიკაშვილმა უნაკლოდ გარდასახა, რასაც ხამაშურიძის ლელო დაემატა და ბორჯღალოსნები 15:0 დაწინაურდნენ. სტუმრები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ და ორი საჯარიმოს გატანაც მოახერხეს: 15:6 – ასე დამთავრდა პირველი ნახევარი. შესვენების შემდეგ შეხვედრა უფრო დაიძაბა, გახშირდა შეცდომები როგორც დაცვაში, ისე შეტევისას. მაგალითად, რუმინელმა ვლაიკუმ ორჯერ ვერ გამოიყენა ანგარიშის შემცირების რეალური შანსი. თუმცა სტუმრებმა ერთი ლელოს გატანა მაინც მოახერხეს, რასაც რიჩი დიქსონის შეგირდებმა ზუსტი საჯარიმოთი უპასუხეს. ქართველმა მორაგბეებმა საბოლოოდ 18:11 გაიმარჯვეს,





ანთიმოზ ივერიელის თასი დაიბრუნეს და ევროპის ერთა თასიც ვადამდე მოიპოვეს, რადგან გასულ უქმეებზევე ესპანელებმა შინ პორტუგალიელებს 25:10 სძლიეს. მართალია, რუსებმა უკრაინელებს სტუმრად 41:5 მოუგეს, მაგრამ პირველობისთვის ბრძოლაში ეს არაფერს ცვლის. 19 მარტს სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე ბორჯღალოსნებმა ჩრდილოელ მეზობლებთან რომც წააგონ მატჩი, მათ პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება. თუმცა, ბიჭები ისე არიან შემართული, რომ რუსებთანაც გასამარჯვებლად იბრძოლებენ.

**სატურნირო მდგომარეობა 14 მარტისთვის:**

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 4 | 4 | 0 | 153:26 | 18 |
| **რუსეთი** | 4 | 2 | 2 | 91:83 | 10 |
| **ესპანეთი** | 4 | 2 | 2 | 84:111 | 10 |
| **პორტუგალია** | 4 | 2 | 2 | 67:74 | 9 |
| **რუმინეთი** | 3 | 1 | 2 | 61:45 | 6 |
| **უკრაინა** | 3 | 0 | 3 | 21:138 | 0 |

დასასრულს მიუახლოვდა 6 ერის თასის გათამაშებაც. **გაუწყებთ IV ტურის მატჩების შედეგებს:**
**ინგლისი – შოტლანდია 22:6,**
**იტალია – საფრანგეთი 22:21,**
**უელსი – ირლანდია 19:13.**

დასკვნითი ტურის წინ გუნდებს ასეთი მონაგარი აქვთ: ინგლისი – 8, უელსი – 6, საფრანგეთი, ირლანდია – 4-4, იტალია – 2, შოტლანდია – 0 ქულა.

**ლექსო ცინცაძე**

**კრივი**

# „ტორნადო“ საჩემპიონო ქამრით

**უკრაინული საპრომოუტერო კომპანიისა და საქართველოს სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით თბილისის სპორტის სასახლეში პროფესიონალ მოკრივეთა საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა: საერთაშორისო კრივის ორგანიზაცია IBO-ს ვერსიით, საშუალო წონით კატეგორიაში (72,6 კგძ მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად ქუთაისელი ავთანდილ ხურციძე, იგივე „ტორნადო“, პოლონელ მარიუშ სენდროვსკის დაუპირისპირდა.** მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ქართველმა სპორტსმენმა თქვა, რომ მეტოქეს ნოკაუტით მოვუგებო, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. მართალია, 12 რაუნდის განმავლობაში ჩვენებური უპირატესობას ფლობდა, პოლონელისთვის ცუნამივით გადავლა ვერ მოახერხა – ქულებით მოგებას დასჯერდა: 117:111, 106:108, 116:112. ასე რომ, საჩემპიონო ქამარმა საქართველოში დაიდო ბინა.



იმავე საღამოს უკრაინელმა ვიქტორ პოსტოლიმ შვედ სამ რუკუნდოს მოუგო, ბექა საჯაიამ რუბენ მოვსესიანს აჯობა, ბორის მდინარაძემ უკრაინელი ვალენტინ ვოლოხა დაჯაბნა, რობიზონ ომსარაშვილი და ამბროსი სუთიძე დაზავდნენ.

**ლაშა დიდია**

**ფეხბურთი**

# აქეთურ–იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXIV ტური.** „ოლიმპი“ – „ბაია“ 2:0, „დინამო“ – „სამტრედია“ 7:1, „ზესტაფონი“ – „კოლხეთი“ 0:0, „ტორპედო“ – „სიონი“ 2:0, „ცხინვალი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:1.



**გათამაშების ცხრილი:** „ზესტაფონი“ – 51, „ოლიმპი“ – 50, „დინამო“ – 43 (23 თამაშიდანძ, „ვიტ ჯორჯია“ – 35, „ტორპედო“ – 32, „ბაია“ – 29 (23 თამაშიდანძ, „სიონი“ – 25, „ცხინვალი“, „კოლხეთი“ – 23-23, „სამტრედია“ – 20 ქულა.

**ბომბარდირები:** გელაშვილი („ზესტაფონი“ძ – 12, მოდებაძე („ოლიმპი“ძ, წინამძღვრიშვილი („ზესტაფონი“ძ – 11-11, დვალი („ზესტაფონი“ძ, მეგრელაძე („ტორპედო“ძ – 10-10 გოლი.

* * *

**იტალია.** „მილანი“ – „ბარი“ 1:1, „რომა“ – „ლაციო“ 2:0, „ბრეშია“ – „ინტერი“ 1:1, „პარმა“ – „ნაპოლი“ 1:3, „ჩეზენა“ – „იუვენტუსი“ 2:2, „კალიარი“ – „უდინეზე“ 0:4.

**ესპანეთი.** „სევილია“ – „ბარსელონა“ 1:1, „რეალი“ – „ჰერკულესი“ 2:0, „სარაგოსა“ – „ვალენსია“ 4:0, „ვილიარეალი“ – „ხიხონი“ 1:1, „ესპანიოლი“ – „დეპორტივო“ 2:0.

**გერმანია.** „ჰოფენჰაიმი“ – „ბორუსია“ 1:0, „მაინცი“ – „ლევერკუზენი“ 0:1, „ბაიერნი“ – „ჰამბურგი“ 6:0, „კიოლნი“ – „ჰანოვერი“ 4:0, „შალკე“ – „აინტრახტი“ 2:1.

**საფრანგეთი.** „ლილი“ – „ვალანსიენი“ 2:1, „სოშო“ – „ლიონი“ 0:2, „პსჟ“ – „მონპელიე“ 2:2, „რენი“ – „მარსელი“ 0:2, „სენტ ეტიენი“ – „ბრესტი“ 2:0.

**ინგლისი. ასოციაციის თასის ნახევარფინალი.** „მანჩესტერი“ – „არსენალი“ 2:0.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**კალათბურთი**

# შემოსვლა რომ საქმეს შველოდეს...

**სუპერლიგის XVI ტურში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა, თუმცა განსაკუთრებული მაინც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის „არმიის“ მეორე მარცხი გახლდათ.**

უახლოეს მდევართან – თსუ-ს გუნდთან პრინციპული მატჩის წინ ლევან მოსეშვილის შეგირდები სპორტის სასახლეში სამხედრო კამუფლაჟით შემოსილები გამოცხადდნენ, რამაც შთაბეჭდილება, მეტოქის გარდა, ყველაზე მოახდინა. მართალია, სტუდენტებს ძირითადი ცენტრი მათიაშვილი აკლდათ, მაგრამ მეორე გიგანტმა ლონდარიძემ ბრწყინვალედ ითამაშა და ორმაგი „დუბლით“ (23 ქულა, 19 მოხსნაძ გადამწყვეტი როლი შეასრულა პარტნიორთა გამარჯვებაში – 92:74.



ცენტრალურ შეხვედრაში განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეულწილად დაჩრდილა მანამდე გამართულ შსს-სტუ-ს ბრძოლაში ტექნიკოსთა გამთამაშებლის ჩიკვილაძის მიერ დამყარებული სეზონის შედეგიანობის ახალი რეკორდი – 42 ქულა. მას ღირსეულად აუბა მხარი ბერუაშვილმა – 23 ქულა, თუმცასრულფასოვანი შემსრულებლებით გამორჩეულ ძალოვანთა დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 83:90.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი“ – „სოხუმი“ 71:82, „სასოფლო“ – „ქუთაისი“ 67:73, „სამედიცინო“ – „დინამო“ 72:45.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არმია“ – 2, თსუ – 3, შსს, „ქუთაისი“ – 4-4 წაგება.

**.გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

## ირანი დათანხმდა

**როგორც იტყობინებიან, ირანელი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაში. ალბათ გახსოვთ, რომ ისინი უარს ამბობდნენ ამაზე იმის მომიზეზებით, რომ თითქოს ოლიმპიადის სიმბოლოს სიონისტური გამოსახულება ჰქონდა და მასზე ნათლად იკითხებოდა სიტყვა „სიონი“, რაც დაკავშირებულია ისრაელის სახელმწიფოსთანო.**

ირანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბაჰრამ აფშარზადემ ნათლად განმარტა, რომ ირანელი ათლეტები აუცილებლად წავლენ ბრიტანეთის დედაქალაქში გასამარჯვებლად. ადრე კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისათვის გაგზავნილ წერილში ირანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები მოითხოვდნენ ლონდონის ოლიმპიადის ოფიციალური ემბლემის შეცვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტის მსოფლიო დღესასწაულის ბოიკოტით იმუქრებოდნენ.




ახლა კი ისინი აღიარებენ, რომ ოლიმპიადის ლოგოტიპში სიტყვა „სიონის“ ამოკითხვა სამარცხვინო აქცია იყო, რაც ეწინააღმდეგებოდა კეთილშობილურ ოლიმპიურ პრინციპებს.

ფაქტობრივად 1 მილიონ დოლარად ღირებულ ოლიმპიურ ემბლემაზე გამოსახულია მრავალკუთხედების დახმარებით სტილიზებული 2012. მრავალკუთხედები ოთხი ფერისაა – ცისფერი, მწვანე, ვარდისფერი და ფორთოხლისფერი. ერთ-ერთზე ბრიტანეთის დედაქალაქის – ლონდონის სახელი აწერია, ერთზეც ოლიმპიადის ცნობილი სიმბოლო – ერთმანეთზე გადაჯაჭვული ხუთი რგოლია.

## კრახის ზღვართან

**ყოველივე ეს ცნობილი გახდა იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილი მცველის ალესანდრო კოსტაკურტას ცოლის, აპენინებზე ცნობილი მოდელის მარტინა კოლომბაროს მიერ ახლახან გამოცემული ავტობიოგრაფიით, რომლის დეტალები ლამაზმანის ცხოვრებიდან მაღალი საზოგადოების მძუხარე განხილვის საგანი გახდა. ჟურნალისტებმა კი ის გაამუქეს, ისინი ხომ ამის ოსტატები არიან.**

წიგნის ყველაზე მიმზიდველ ფურცლებად ითვლება ავტორის აღიარება ქმრისთვის ღალატის თაობაზე. თვით ფეხბურთელს ეს ტრაგედიად არ გაუხდია და არც კომენტარი გაუკეთებია. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ცოლთან, იქ ყველაფერი უცვლელად რჩებაო.

რაც შეეხება ღალატს, მარტინამ დაწერა, რომ ისინი კრახის ზღვარზე იყვნენ, რამდენიმე თვეს ერთად არ ცხოვრობდნენ და მომავლისაც არ სწამდათ. ამიტომაც სხვა მამაკაცს ჩაუწვა. თუმცა ახლა ისინი კვლავ ერთად არიან, ერთმანეთს „ცივ ნიავს არ აკარებენ“, რისი მთავარი მოწმე მათი ვაჟიშვილი აქილევსია.



## ბედი ქართლისა და... კავკასიისა

(მეხუთე გვერდიდან)

ამ ფაქტს კი თურქებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარიც კი უთქვამთ. რაც შეეხება საქართველოს, სამწუხაროდ, ჩვენი პატრონი არც ანკარაში და არც მოსკოვში არავინ იყო: ჩვენი მოსკოველი ელჩი გერასიმე მახარაძე ჩეკამ დააპატიმრა, ხოლო ანკარაში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს მუსტაფა ქემალი სიტყვით დახმარებას პირდებოდა, საქმით კი პირიქით აკეთებდა – თურქებმა ულტიმატუმი წამოგვიყენეს, რათა ჩვენს ჯარს ართვინი და არტაანი დაეცალა და ბათუმიდანაც გასულიყო.

აი, საქართველოსთვის ასეთ დრამატულ ჟამს მოლაპარაკების არენაზე კავკასიის საქმეთა მცოდნე, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი გამოჩნდა....

### „კობა, მიდი ერთი თურქებს დაელაპარაკე..."

რუსეთის მთავრობის (სახკომსაბჭოსძ თავმჯდომარეს ვლადიმერ ლენინს სულაც არ სურდა თავისი თურქი კოლეგის მუსტაფა ქემალის განაწყენება, რადგან კრემლი თურქეთს აზიაში თავის მნიშვნელოვან მოკავშირედ მიიჩნევდა და შესაბამისად, მოსკოვს შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა.

როგორც თურქი მკვლევარები ამტკიცებენ, მოლაპარაკების დროს წარმოქმნილი ღრმა უთანხმოების გადაჭრაში დადებითი როლი სწორედ იოსებ სტალინს შეუსრულებია. ამასვე ადასტურებენ სომეხი მეცნიერ-ისტორიკოსებიც.

მივყვეთ მოვლენების განვითარებას: 9 მარტს გვიან ღამით ვლადიმერ ლენინმა თურქებთან საკითხის გარკვევა იოსებ სტალინს დაავალა. 10 მარტს იუნუს ქემალმა თავისი მოთხოვნები ბათუმის თურქეთის შემადგენლობაში აღიარებაზე უკან წაიღო, ორიოდე დღის შემდეგ კი ხელშეკრულების პროექტზე საზეიმო ხელმოწერისათვის 16 მარტი დაინიშნა.

მაინც რა მოხდა 9 მარტის ღამეს ისეთი, რამაც თურქების პრეტენზიები დააცხრო?

ზუსტად თქმა ძნელია, მაგრამ შედეგები გვაფიქრებინებს, რომ იოსებ სტალინმა პრიორიტეტი ბათუმის, როგორც შავი ზღვის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურისა და ბაქოს ნავთობსადენის საბოლოო მონაკვეთის შენარჩუნებას მიანიჭა, დანარჩენი ქართული მიწები კი, სომხურთან ერთად, თურქებს დაუთმო. თუმცალა, ბათუმის შენარჩუნებაც საეჭვოდ კომპრომისულად გამოიყურება: თურქებს თითქოსდა უთქვამთ, „ბათუმი ჩვენია, მისი სიუზერენები ჩვენ ვართ, მაგრამ კარგით, მაინც გითმობთ, ოღონდ აჭარას ავტონომიის სტატუსი უნდა მიანიჭოთო".

შესაძლოა, სტალინი იმ დროს ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ დროებითი ხასიათისაა, ტერიტორიების გადაცემა მხოლოდ გარკვეული ვადით მოხდა, ამას პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებს, თურქეთთან რუსეთის მეგობრობა აუცილებელია და მომავალში საქმე გამოსწორდებაო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: საქართველომ თავისი ისტორიული ტერიტორიის თითქმის მესამედი დაკარგა. ობიექტურები უნდა ვიყოთ და თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სტალინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები გაიხსენა და თურქეთს მათი დაბრუნება ოფიციალურად მოსთხოვა. ალბათ, მას საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვა 1921 წლის 9 მარტის ღამეს გამოჩენილი კომპრომისი თურქების მიმართ...

# როცა ძალა აღმართს ხნავს!

### ძმობა-მეგობრობა უვადოდ

1921 წლის 16 მარტს, უკვე ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, ხელი მოეწერა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას, რომლის უმთავრესი დებულებებია: დე იურედ ერთმანეთის სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარება (პრეამბულაძ, თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიისა და საზღვრების დადგენა კავკასიაში - საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან (პირველი მუხლიძ, აჭარისა და ნახჭევანისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება (მეორე და მესამე მუხლიძ, აგრეთვე რუსეთის ვალდებულებას – გადაედგა ნაბიჯები ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რათა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანსაც დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობები თურქეთთან, შესაბამისი შეთანხმებების დადებით (მეთხუთმეტე მუხლიძ. ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები ეხება ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას (ვაჭრობა, სატელეგრაფო და სატრანსპორტო კომუნიკაციებიძ, საკონსულო კონვენციის შემუშავებას, აგრეთვე სამხედრო ტყვეების გაცვლასა და მოქალაქეთა ოპტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (სულ 16 მუხლიძ.




ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებშიც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის აღწერილობაა მოცემული.

დოკუმენტში მითითებული არაა მოქმედების კონკრეტული ვადა, შესაბამისად, ხელშეკრულება უვადოა.

1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება თანამედროვე რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობების ქვაკუთხედს წარმოადგენს, მხარეები დღემდე პერიოდულად საზეიმოდ აღნიშნავენ საიუბილეო თარიღებს. ანკარისა და მოსკოვის ოფიციალური პოზიციით, 90 წლის წინათ ხელმოწერილი დოკუმენტი ამჟამადაც ძალაშია და რუსი და თურქი ხალხები მეგობრობის საფუძველს წარმოადგენს.

თუმცა ქართველები ასე ვერ ვიტყვით რამდენიმე მიზეზის გამო: ხელშეკრულება უსამართლოა, რადგან ის დაიდო საქართველოს კანონიერი, ლეგიტიმური მთავრობის ზურგს უკან. ამ დოკუმენტით რუსეთმა და თურქეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინეს, რაც უკანონოა იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვითაც. დოკუმენტი საქართველოს საზღვრებს ეხება და რადგანაც მასზე არ არის საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლის ხელმოწერა, ის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული პირობების შემცველია...

სხვათა შორის, უკვე გასაბჭოებულ-ოკუპირებული საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და საზოგადოებაში რუსეთ-თურქეთის შეთანხმებამ ძალზე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი", აკრიტიკებდა რა ქართველ ბოლშევიკებს შემრიგებლური პოლიტიკის გამო, წერდა: „საქართველოს საზღვრები არის სიმბოლო საქართველოს სუვერენობისა... და ის, ვინც ამ კარდინალურ საკითხში ნებისყოფის სისუსტესა და უაზრო მორჩილებას იჩენს, ის ვერ მოიმკის ქართველი ხალხის სიყვარულს". თუმცა, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ დროს, „ძალამ აღმართი მოხნა".

რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების საეჭვო სამართლიანობის საკითხს ვერც იმ ფაქტმა ვერ უშველა, რომ მოგვიანებით, 1921 წლის ოქტომბერში თურქეთმა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებთან, მე-15 მუხლის შესაბამისად, თითქმის იგივე შინაარსის მქონე შეთანხმება გაფორმდა, დიპლომატიის ისტორიაში „ყარსის ხელშეკრულების" სახელით რომ არის შესული. ყარსში ხელმოწერილ დოკუმენტზეც რუსეთის პოლიტიკური გავლენა იგრძნობა, რასაც დოკუმენტზე რუსეთის წარმომადგენლის ხელმოწერა ადასტურებს.

მართალია, ყარსის ხელშეკრულების მუხლთა უმეტესობა, გარდა საზღვრების საკითხისა, ფაქტიურად მოძველებული და ძალადაკარგულია, მაგრამ როცა საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე მსჯელობენ, აუცილებლად სწორედ „ყარსის ხელშეკრულებას" იხსენებენ და თურქეთისადმი გადაცემული მიწების გამო „ჯავრს მასზე იყრიან ხოლმე", არადა, ყარსის ხელშეკრულებას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც მოსკოვში 16 მარტს ხელმოწერილ დოკუმენტს - სწორედ გიორგი ჩიჩერინისა და იუსუფ ქემალის მიერ ხელდასხმულმა დოკუმენტმა დაუდო სათავე კავკასიაში ტერიტორიების გადანაწილებას, რომელიც ფარული თუ ირიბი სახით დღემდე გრძელდება.

ფაქტები მოწმობენ, რომ სწორედ 16 მარტის ხელშეკრულებით დაირღვა საქართველოს მთლიანობა, რომელიც ეროვნულმა მთავრობამ უდიდესი ენერგიის დახარჯვით, ნაწილ-ნაწილ, იარაღის ძალით თუ მშვიდობიანი დიპლომატიით, ერთ ორგანიზმად შეკრა 1918-20 წლებში.

ანკარას ყოველთვის ახსოვს, რომ აჭარა და ბათუმი „მისი ტერიტორიებია". არავის არ გაუუქმებია „ეროვნული აღთქმაც". თურქი მეცნიერ-მკვლევარები მოსკოვის ხელშეკრულებას სწორედ ამ კუთხით განიხილავენ და ხაზს უსვამენ ტერიტორიულ კუთვნილებას.

90 წლის წინ დადებული ხელშეკრულება დრო და დრო თავს ტკბილ-მწარედ გვახსენებს ხოლმე - ასე იყო სულ ახლახანს, 2008 წლის აგვისტოში, როცა რუსეთ-საქართველოს გაგანია ომის დროს ქართული ფესვების მქონე თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოგანი მოსკოვში გაქანდა... ამბობენ, მისი მთავარი სადარდებელი ბათუმი ყოფილა - არიქა, მოსკოვისათვის დათმობილი აჭარა კვლავ რუსეთმა არ ჩაიგდოს ხელშიო და თურმე ჯარების შეყვანასაც არ გამორიცხავდა.

სწორედ რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს საკუთარი ისტორიული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ტაძრების მოვლა-პატრონობისათვის თურქეთის ნებართვა სჭირდება და უფრო მეტიც – მეტად არასასურველი პირობების შესრულება უხდება. გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიცია...

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა მოგვეჩვენოს, თეორიულად საქართველოს შეუძლია პროტესტი განაცხადოს მოსკოვის ხელშეკრულების პირობების მიმართ და მხარეებს მისი გადასინჯვისაკენ მოუწოდოს. მოტივაცია სავსებით კანონიერი იქნება: როგორც ზემოთ ვთქვით, 16 მარტის დოკუმენტი უსამართლოა და ამჟამად მოქმედ ვენის კონვენციას ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, რუსეთი საქართველოს მტერია და ეს საკმაო საფუძველს გვაძლევს მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტის დენონსაცია მოვთხოვოთ. თუმცა... გასაგები მიზეზების გამო დღეს საქართველო ამგვარ დიპლომატიურ დემარშს არ განახორციელებს – ხელშეკრულების მეორე სუბიექტი ხომ თურქეთია, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოა. ასე რომ, ყველაფერი ძველებურად დარჩება.

**სიმონ კილაძე**

---

## საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის პროგრამის 2010 წლის ფინანსური ანგარიში

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2010 წლის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 28805 ლარი, აქედან 9000 ლარი შეტანილია დეპოზიტზე. მთლიანი შემოსავლებიდან საწევრო ანარიცხებმა შეადგინა 25800 ლარი, ხოლო ქველმოქმედების სახით შემოსულია 3005 ლარი.

აღნიშნული თანხების ჩარიცხვა ხდებოდა ენერგეტიკული ორგანიზაციებიდან.

2010 წელში გაწეულია 18467 ლარის ხარჯი, – ჩატარდა 32 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა „ალა-ფურშეტით" და საჩუქრებით, რაზედაც დაიხარჯა 1577 ლარი.

მ/წელში ვეტერანებზე გაწეულია 375 ლარის დახმარებები, საკანცელარიო ხარჯი 299 ლარი, კომუნალურ მომსახურებაზე 215 ლარი, მივლინებაზე 35 ლარი, ბანკის მომსახურებისთვის 71 ლარი, დარიცხულია 2010 წლის ამორტიზაცია 374 ლარი, ქონების გადასახადი 17 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე 150 ლარი, ჟურნალ „გადასახადები და აღრიცხვაზე" 90 ლარი, გაზეთში გამოცხადებაზე გაწეულია 70 ლარი, კომპიუტერის ხარჯი 362 ლარი და სხვა ხარჯები 25 ლარი (2 ც. საქველმოქმედო ბილეთის ღირებულება 10 ლარი და ჩამოწერილი წიგნის კარადის ცვეთის ნარჩენი ღირებულების 15 ლარი – სულ 25 ლარიძ და ადმინისტრაციაზე გაწეულია 14807 ლარის ხარჯი.

ბალანსი 1/I-2011 წლისთვის

| აქტივი | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები (1110, 1210) | 549 | 9632 | მიმდინარე ვალდებულებები (3390) | 76 | 7 |
| სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი (1690, 1700, 1900) | 82 | 19 | სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება (5490) | 804 | 11143 |
| სულ გრძელვადიანი აქტივი (2160) | 249 | 1499 | | | |
| სულ აქტივები | 880 | 11150 | სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | 880 | 11150 |

თავმჯდომარე — რევო მშვიდობაძე
ბუღალტერი — ციცინო ბენაშვილი

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი აკადემიკოსი

ვაჟა ოკუჯავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 15, 16 III, 17 სთ. მისამართი. ი. ნიკოლაძის, 6. გამოსვენება 17 III, 14 სთ. დიდუბის ეკლესიიდან. დაკრძალვა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



◉ დეზოდორის მაგიერ

# სიბინძურის ყულაბა

**რაც არც კოტეს ეპატიება, ყუბანეიშვილს, მით უმეტეს, არ ეკადრება ტარიელს, ჭანტურიას**

ნამდვილად კარგია, რომ ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიექცა დასუფთავებას ჩვენს ქალაქებში... მაგრამ ძალიან ცუდია, რომ ამავე ბოლო დროს ბილწსიტყვაობითა და ავყიაობით დაბინძურდა ჩვენი პერიოდიკა, ყურადღების მიმქცევი კი არავინ არ ჩანს.

თქვენმა მკითხველმა სწორად შენიშნა პოეტ კოტე ყუბანეიშვილის „პოეტური სიბილწენი“ ყოველკვირეულ Weekend-ის ფურცლებზე, აგრეთვე პროზაიკოს ზურაბ ლეჟავას „ჰომოსექსუალური შტუდირებანი“ „ლიტერატურული გაზეთის“ მიერ დიდის ამბით მოწოდებული.

„ლიტერატურული გაზეთისთვის“, ჩანს, კარგ ტონად იქცა პროზაულ ან პოეტურ „ფოლგაში“ შეფუთული აშკარა სიბინძურის მკითხველისთვის შეთავაზება... ასეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა „ლიტერატურული გაზეთის“ ბოლო ნომერში დღეს უთუოდ ფართოდ ცნობილი პოეტის ტარიელ ჭანტურიას „დაწყვეტილმა სერპანტინმა“, რომელმაც, მართალი გითხრათ, ამდენი უბედურებისგან ისედაც დაწყვეტილი ნერვები კიდევ უფრო დამიწყვიტა.




როგორც ვიცი, პოეტი უკვე ასაკოვანი კაცია, ოთხმოცს მიღწეული, რომელსაც ნამდვილად არ ეკადრება, როგორც იტყვიან, „სიტყვის აყროლება“ თუნდაც ასეთი სტრიქონებით:

სიცოცხლე ერთხელ
გვეძლევა
და იმ ერთხელაც
გვენძრევა...

ანდა ასეთი „ინტიმი“:

მთავარი არის ხელის
წავლება!
ეს მისით ხდება! —
არ ისწავლება...

კი, ბატონო, შენ რასაც გინდა, იმას წაავლე შენი ხელი, მაგრამ ჩვენს თვალსა და ყურს რაღას ემართლები — მკითხველის თვალსა და ყურს!

არ ვიცი, რომელ დროს და რომელ ეპოქას გულისხმობს, მაგრამ ჩვენ კი პოეტი ამგვარ შეფასებას გვთავაზობს:

კაცს სიკვდილის ნატვრისგან
რომ ნერწყვი გამოგეყოფა —
მოვტყან მე ის ეპოქა!

როგორც ვიცით, „ლიტერატურულ გაზეთს“ თვითონ კულტურის სამინისტრო აფინანსებს... და პირდაპირ საკვირველია, რომ ისეთმა ფრთხილმა და ასოკირკიტა რედაქტორმა, მუდამ ხელისუფლების თვალებში მაცქერალმა, როგორიც პროზაიკოსი ირ. ჯავახაძეა, ასე საგინებლად გაიმეტა „მშობლიური ეპოქა“.

თუმცა ისევ პატივცემული ტარიელის სიტყვებით რომ ვთქვათ:

ქართველებს დროცა და სივრცეც
ორივე ჰკიდიათ სირზე!

ჩანს, თვითონ პოეტი თავის თავსაც ასეთ ქართველთ მიაკუთვნებს! ღმერთმა ხელი მოუმართოს, სადაც რა უნდა, იქ დაიკიდოს, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ მკითხველებმა, რომელთაც ამ ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისგან ამდენი ვაი და ვუი გვკიდია ზურგზე!?

**გიორგი ნაცარაშვილი,**
ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი,
ქ. გორი

◉ ჩვენი კარაბადინი

# სურვილი რომ არ იკარგებოდეს

**ძლიერი სქესის სუსტ ადგილებზე გვესაუბრება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უროლოგიისა და ანდროლოგიის კათედრის გამგე, მოსკოვის სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტის ურონეფროლოგიისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე არმაის კამალოვი**

### დელიკატური საკითხი

**— ბატონო არმაის, დღეს ხელისუფლება დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მიზნით მოუწოდებს ქალებს შობონ ბევრი ბავშვი. მაგრამ ამ საქმეში წარმატება მხოლოდ მათზე ხომ არ არის დამოკიდებული...**

— შემთხვევების 50 პროცენტში, როდესაც ოჯახურ წყვილს არ შეუძლია ჰყავდეს შვილები, დამნაშავე სწორედ მამაკაცია. დღეს კი უროლოგიურ დაავადებათა ზრდა ძლიერ სქესს შორის აჭარბებს ყველაზე გავრცელებულ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ისინი კი არა მხოლოდ ხელს უშლიან ჰყავდეთ ჯანსაღი მემკვიდრეობა, არამედ ძლიერადაც აფუჭებენ ცხოვრების ხარისხს. მაგალითად, წინამდებარე ჯირკვლის დაავადება აიძულებს მამაკაცს ყოველ საათში ირბინოს ტუალეტში. მეორე ხშირი პრობლემაა ერექტილური დისფუნქცია (ამას ხალხში იმპოტენციას ეძახიანძ — გულსისხლძარღვთა დაავადებათა ხშირი წინამორბედი. მამაკაცების 40 პროცენტს, ვისაც დღეს უჩნდება პრობლემა ერექციასთან დაკავშირებით, 4 წლის შემდეგ უვითარდებათ გულის იშემიური დაავადება. ამიტომ სასქესო ფუნქციების დარღვევის დროს აუცილებელია, უროლოგის გარდა, მივიღოთ კონსულტაციები კარდიოლოგთან და თერაპევტთან, რათა თავიდან ავიცილოთ სიცოცხლისთვის სახიფათო პრობლემები.

**— ამბობდნენ, რომ შარშანდელი ცხელი, ხანძრიანი ზაფხულის შემდეგ მამაკაცებს გაუჩნდათ პრობლემები რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებით. როდის აღდგება ეს ფუნქციები?**

— ის, რომ ბევრ მამაკაცს შარშანდელი ზაფხულის შემდეგ დაუქვეითდა სპერმატოზოიდების მოძრაობისა და სიცოცხლისუნარიანობა — ეს ფაქტია. დრო, რომელიც საჭირო იქნება აღდგენისთვის, ინდივიდუალურია თითოეულისთვის. სხვათა შორის, ყველამ როდი იცის, რომ, როდესაც მამაკაცს შეუსრულდება 50 წელი, ის ვალდებულია წელიწადში ერთხელ ეწვიოს უროლოგს, რათა ჩააბაროს ანალიზი პროსტატის სპეციფიკურ ანტიგენზე, მაშინაც კი, თუ არაფერი აწუხებს. მისი დონის ამაღლება შეიძლება მოწმობდეს წინამდებარე ჯირკვლის კიბოს განვითარების შესახებ.

**— რა ახალი მეთოდები შეიძლება შესთავაზონ ექიმებმა მამაკაცებს?**

— ავიღოთ, მაგალითად, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა — ეს არის ასაკობრივი ცვალებადობა, რომელსაც მივყავართ მის გადიდებასთან და ამ ფონზე — შარდდენის დარღვევასთან. ასეთი პრობლემის დროს ბევრ მამაკაცს ეშინია მიმართოს ექიმს, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ ოპერაცია გარდაუვალია. მაგრამ დღეს პაციენტების 60 პროცენტს, დროულად მიმართვის შემთხვევაში, სავსებით შეუძლია თავიდან აიცილოს სამკურნალო თერაპია.



დღეს წინამდებარე ჯირკვლის კიბოს დროს ღია ტრავმატული ოპერაციების ნაცვლად სულ უფრო ხშირად იყენებენ ლაპაროსკოპიულებს (პატარა გაკვეთებითძ, რობოტოტექნიკურებს. არის ბრაქითერაპიის მეთოდიკა — ეს არის წინამდებარე ჯირკვალში რადიაქტიულნივთიერებიანი კაფსულების ჩადება, რომლებიც ანადგურებენ ავთვისებიან სიმსივნეს.

### სტრინგები შეიძლება?

**— დაიბადა ბიჭი — პამპერსები საზიანოა, გაიზარდა — აბანო და სავარძელი გათბობით ავტომობილში. ასე სახიფათოა მამაკაცისთვის გადახურება?**

— შემთხვევითი როდია, რომ მამაკაცის ორგანოები, ქალებისგან განსხვავებით, ორგანიზმის გარეთაა. ტემპერატურის აწევას სათესლის პარკში მივყავართ სპერმატოზოიდების მოძრაობის დაქვეითებასთან. კარგი აბანოს შემდეგ სპერმოგრამა რომ გააკეთოთ, დაინახავთ მკვეთრ ცვლილებებს. მაგრამ ეს ცვლილებები შექცევადია, გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი აღდგება (ადამიანი ხომ ყოველდღე არ ახდენს ორგანოების ასეთ გადახურებასძ. აი სავარძლის გახურება მანქანაში კი — მეტად ვერაგი რამეა. თბილი მანქანიდან გამოდიხართ სიცივეში და ტემპერატურის ასეთ მკვეთრ ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს პროსტატისა და სხვა დაავადებათა გამწვავების პროვოცირება. უნდა იყოს ოქროს შუალედი — არ დაჯდე ძალიან ცივზე, მაგრამ არც გადაახურო.

**— მართალია, რომ მამაკაცისთვის ხანგრძლივი თავშეკავება მავნებელია?**

— დიახ, იძულებითმა თავშეკავებამ, რომელიც დაკავშირებულია, მაგალითად, ხანგრძლივ მივლინებებთან, შეიძლება მიგვიყვანოს მიყურებული პროსტატიტის განვითარებასთან, რაც იწვევს ტკივილის შეგრძნებას წელის არეში, საზარდულში. ამიტომ ექიმები ყოველთვის გვირჩევენ, შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ რეგულარული სქესობრივი ცხოვრება, რათა ხდებოდეს თესლოვანი სითხის ბუნებრივი განახლება. ინტიმურ ურთიერთობათა როგორი სიხშირეა სასარგებლო? ყველასთვის უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. არის ბიოლოგიური რიტმი, რომელიც წყვილს აკმაყოფილებს. ზოგს 1-2-ჯერ ჰყოფნის კვირაში, სხვისთვის დღეში რამდენიმეც კი ცოტაა.

**— ექიმები ქალებს არ ურჩევენ ატარონ სტრინგები. მამაკაცებისთვის ასეთი თეთრეული უმჯობესია?**

— ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს არა იმდენად ფასონი, რამდენადაც მასალა. ტრუსი უნდა იყოს ნატურალური ქსოვილის, რომელიც არ იწვევს ქავილს, ოფლსა და ა.შ.

**იულია ბორტა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი საზღვარგარეთ მიფრინავენ. უცებ თვითმფრინავის ძრავას პრობლემები ექმნება და საფრენი აპარატი ვარდნას იწყებს. ბორტზე კი არც ერთი პარაშუტი არ არის. ვინ გადარჩება?

პასუხი: ხალხი!



* * *

არ არის საჭირო ბუზისგან სპილოს შექმნა. მით უფრო მაშინ, როცა იგი პირში შეგიფრინდება.

* * *

— მამი, იცი რა მაგარი წარმოდგენა იყო დღეს ცირკში? მხედარი ჯერ გაქანებულ ცხენს შეახტა ზურგზე, გამოუძვრა მუცელქვეშ, ქუდში ჩაეჭიდა და მერე კისერზე პირუკუ შეახტა.

— მერე რა არის აქ განსაკუთრებული? ეს ყველაფერი მეც გავაკეთე, როდესაც ცხენზე პირველად ავმხედრდი...

* * *

ერთ დიდ ბებიას ჰკითხეს, რა გრძნობა დაეუფლა მას პირველი შვილთაშვილის შეძენისას.

— ეს შესანიშნავი იყო, — უპასუხა მან. მაგრამ მანამდე, სანამ მივხვდებოდი, რომ ბაბუის დედა გავხდი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.